1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სკკპ
# XXV
# ყრილობა




# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1976 წ.

# დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა




იგი განიხილეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში და ყველგან, სადაც კი მას ეცნობოდნენ — დაწესებულებებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, — იყო გაცხოველებული სჯა-ბაასი. დიდი დაინტერესება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში ის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც ნათლად არის მოცემული საბჭოთა ცხოვრების წესის მთავარი და უმაღლესი პრინციპი — ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, მის საკეთილდღეოდ.

მეათე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში გადიდდება 24-26 პროცენტით.

დიდი მასშტაბებით განხორციელდება საბინაო მშენებლობა და გაუმჯობესდება მისი ხარისხი, როგორც ხალხის ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება.

მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ხელფასი გაიზრდება 16-18 პროცენტით და ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწევს სულ ცოტა 170 მანეთამდე თვეში. წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობიდან გაიზრდება საშუალოდ 24-27 პროცენტით.



გაფართოვდება სკოლამდელი დაწესებულებების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი. აშენდება ბავშვთა ბაგები და საბავშვო ბაღები 2,5 — 2,8 მილიონი ბავშვისათვის.



დაწესდება მომუშავე ქალებისათვის ნაწილობრივი ხელფასიანი შვებულება ერთ წლამდე ასაკის ბავშვის მოსავლელად. ბავშვიან ქალებს შეექმნებათ არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით, აგრეთვე შინ მუშაობის უფრო ფართო შესაძლებლობანი.







„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველნაირად გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება".

გადიდდება სახლ-ინტერნატებში, სამშობიარო სახლებში, ბავშვთა და ზოგიერთ სპეციალიზებულ საავადმყოფოსა და განყოფილებაში კვებისა და სხვა საჭიროებათა ხარჯების ნორმები.



გატარდება საყოველთაო საშუალო განათლება.

აშენდება ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სულ ცოტა 7 მილიონი მოსწავლისათვის, აქედან დაახლოებით 4,5 მილიონი მოსწავლისათვის სოფლად.



24-28 პროცენტით გადიდდება ეროვნული შემოსავალი, რომელსაც ვიყენებთ მოხმარებისა და დაგროვებისათვის.

20-22 პროცენტით გაიზრდება რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

30-34 პროცენტით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში.



ხუთწლედის მანძილზე 35-39 პროცენტით გაიზრდება სამრეწველო პროდუქციის წარმოება, მათ შორის წარმოების საშუალებებისა 38-42 პროცენტით და მოხმარების საგნებისა 30-32 პროცენტით.





14-17 პროცენტით გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით.



მარცვლეულის საშუალო-წლიური მთლიანი მოსავალი გაიზრდება 215—220 მილიონ ტონამდე.

13057

## საბჭოთა საქართველო 55 წლისაა

ხუტა ბერულავა

# საქართველო

I

საქართველოვ, შვილთა შენთა
თვალისჩინო, მზევ, ჯავარო,
სხვას თუ ეთქმის, შენცა გეთქმის,
ბედნიერი დედა ვარო.

შვილთა შენთა თვალისჩინო,
გულთა ჩვენთა მბრძანებელო,
შენ გეკუთვნის ეგ სიმღერა,
ვით პირველი სადღეგრძელო.

შენ გეკუთვნის, რაიც მითქვამს,
რასაც ვიტყვი ამის შემდეგ...
მიწყივ ტკბილად გაგითენდეს,
მთა და ბარი დაგიმშვენდეს.

აგიშენდეს ყველა მკვიდრი,
შვილია თუ შვილობილი, —
შენს გულს, როგორც დედის კალთას,
სამუდამოდ მინდობილი.

გაგიმრავლდეს მეგობრები.
მეზობლები კარგად გყავდეს,
სიკეთის და სიბრძნის თესლი
ჯეჯილივით აგიყვავდეს.

ბულბულებიც გაგიმრავლდეს
შენს ბაღში და ახლომახლო,
მხოლოდ ძერას ჩვენს მამულში
ნურც ჰქონია სამოსახლო!

არწივებმა გაგამხნეონ,
გიხარებდნენ გულს ფრთოსხები,
არასოდეს აგრეოდეს
მგოსნები და ცრუ მგოსნები.

რაც კი ჩვენში ყვავილია,
გაიფურჩქნოს ბარემ ყველა,
მაგრამ ყინვას დაცაეზროს
გუდაფშუტა, სარეველა...

II

საქართველოვ, შვილთა შენთა
სალოცავო, მზევ, ჯავარო
სხვას თუ ეთქმის, შენცა გეთქმის,
ღირსეული დედა ვარო.

შენი დიდი განთიადი
ვინც კი უწყის სად იწყება, —
იმ თებერვლის ოცდახუთი
არცა ოდეს ავიწყდება.

იმ თებერვლის დღიდან მოდის,
ლეგენდებად რაც დარჩება —
ურიცხვი და უთვალავი
საამაყო გამარჯვება.

იმ ქარიშხლის ძახილია,
რომ ეფრქვევა გზებს ნათელი, —
განახლება დღევანდელი,
ამაღლება დღევანდელი!

თავს არ უხრის ხვატს და სეტყვას
მიწა ჩვენი, კურთხეული,
რომ ადიდოს ყველა ჩანგი,
ვით მეათე ხუთწლეული.

ო, რამდენჯერ გაიხარებ,
ვით გუშინწინ მადნეულში!
ო, რამდენჯერ მოიგონებ,
რაც ზუგდიდში ნახე გუშინ!

ყველა სოფელს, დაბას, ქალაქს,
ჩვენი მიწის ყველა კუთხეს,
შენ — სრულიად საქართველოს,
გამრჯესა და ქედდაუხრელს,

გელოდება დღე მომავლის
ხელში დაფნით და ნაღარით.
როგორც სიტყვა შენი მგოსნის,
უფრო მხნე და ხმამაღალი!

5 იანვარი, 1976 წ. თბილისი.

„ძვირფასო ამხანაგებო!
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად გილოცავენ შესანიშნავ შრომითს მიღწევას — მრეწველობაში მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებას“.

# საჩუქარი ყრილობას

და აღსრულდა მათი ნება!

თბილისის მრეწველობის მუშაკებმა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ვალდებულება აიღეს 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაში, რომელიც რესპუბლიკის მუშათა კლასმა იკისრა, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ, — დაემზადებინათ და გამოეშვათ 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი. ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ დაეძლიათ ადრე დაშვებული ჩამორჩენა და წარმატებით შეესრულებინათ მეცხრე ხუთწლედი.

ამ ჩამორჩენის დაძლევაში თბილისელ მშრომელებს დიდად დაეხმარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რის შედეგადაც ამაღლდა თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობა, უფრო გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გაფართოვდა ინიციატივა, შედეგების შეჯამება და საჯაროობა, ამოქმედდა ყველა რეზერვი, გაუმჯობესდა მართვის ხარისხი.

და აი, აღსრულდა მათი ნება!

შედეგმა მხოლოდ 10 თვე გვალოდინა. თბილისის მუშათა კლასმა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ათ [illegible]

„უფრო სრულად შევუხამოთ მატერიალური და მორალური სტიმულები და გავაძლიეროთ მათი ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მატერიალური რესურსების მომჭირნედ გამოყენებაზე“

(სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადა, წარმატებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ამით უზრუნველყო ხუთწლიანი გეგმის 25 ნოემბრისათვის შესრულება.

ახალი, მეათე ხუთწლედი ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ხუთწლედია. თბილისელმა მუშებმა შარშანდელი წლიდანვე გაამახვილეს ყურადღება ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამის დამადასტურებელია ის, რომ 30-მდე ქარხანამ და ფაბრიკამ 140-ზე მეტი დასახელების პროდუქცია გამოუშვა ხარისხის ნიშნით. აღსანიშნავია, რომ ამ მაღალი მარკით გამოშვებულ პროდუქციაში მოხმარების საგნებთან ერთად სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს მძიმე მრეწველობის ნაწარმი: დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებს ახალ, მეათე ხუთწლედში ერთი საერთო საზრუნავი აქვთ: ყველამ, ვინც ნახავს თბილისურ ნაწარმს, თქვას:

„— თბილისურია? მაშასადამე კარგია“.

თბილისელმა მუშებმა შარშან ათ თვეში გამოშვებული 54 მილიონამდე მანეთის პროდუქცია წლის ბოლომდე 60 მილიონ მანეთამდე გაზარდეს.

ბევრმა საწარმომ ისახელა თავი გმირული შრომით.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა 3 მილიონამდე მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადა.

თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატმა 170 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა 7,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი მისცა სამშობლოს.

მილიონობით ზეგეგმითი მანეთის პროდუქცია დაამზადეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ, გაერთიანება „ელექტრომავალმშენმა“, „თბილღვინომ“, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ და სხვებმა.

**ვიწყებთ რეპორტაჟს ერთ-ერთი გმირი საწარმოდან, თბილისის ცხიმკომბინატიდან, რომელმაც 4 მილიონამდე მანეთის პროდუქცია შეიტანა საერთო ფონდში.**

კომუნისტური შრომის საწარმო ეზოდანვე იქცევს ყურადღებას. შეხვალთ თუ არა, ხელმარცხნივ ერთსართულიანი ნაგებობები და სიმწვანეში ჩაფლული, შესა-

მარგარინის სამქრო



ჩამოსხმის სამქრო



ნიშნავად გაფორმებული კარმიდამოა. ეს კომბინატის მუშა ქალების შვილებისათვის მოუწყვიათ. აქ გასულ წელს გაიხსნა უფასო საბავშვო ბაღი, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი პატარების უკეთ მოვლისა და აღზრდისათვის. კომბინატის დირექტორმა შოთა ქუტიძემ, რომელიც მეხუთე წელია სათავეში უდგას წარმოებას, მთავარ საზრუნავად მუშათა შვილების აღზრდა გაიხადა. დღედაღამ იდგა და ადევნებდა თვალყურს იმ რეკონსტრუქციის სამუშაოებს, რაც დასჭირდა ბარაკის ტიპის შენობების გადაკეთებას შესანიშნავ, მზით და ჰაერით სავსე საბავშვო ბაღის მისაღებად. ყოველ კუნჭულში ადამიანის მზრუნველი ხელი იგრძნობა, ბაღის ეზოც და შიდა ოთახების გაფორმებაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს. სისუფთავე, მარადმწვანე მცენარეების სიუხვე, საყვარელი ზღაპრების გმირების გამოსახულებანი კედლებზე, მოხერხებული, ლამაზი ავეჯი, ცალცალკე ოთახები საძინებლად, გასართობად და ჭამისათვის, აღმზრდელების დიდ ზრუნვასთან და ერთგულებასთან ერთად ქმნიან იდეალურ პირობებს იმისათვის, რომ ყოველი ბავშვის დედა თავის საამქროში თავს ბედნიერად გრძნობდეს.

აი, ეს არის ერთ-ერთი პირობა იმისათვის, რომ მუშა ქალმა (საწარმოში ქალები ჭარბობენ), თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი მისცეს წარმოებას.

კომბინატის ეზოში არცერთი ქვა ან აგური არ ძევს უმიზნოდ, ყველაფერს სილამაზე და ჰარმონია შეაქვს საწარმოს გარეგნულ სახეში. დაგაფიქრებს და თვალს მოგტაცებს ომში დაღუპული გმირების მონუმენტი, ამ საწარმოდან წასულების ხსოვნას რომ ინახავს. თანამედროვე სტილით დამშვენებული სასადილო რბილი ავეჯით, ტელევიზორით, ლამაზი შუქფარნებით გაფიქრებინებთ, რომ საწარმოში კი არ ხართ, რომელიმე დიდი ქალაქის ცენტრში, ლამაზ რესტორანში იმყოფებით. ყოველნაირი კერძები, დიეტურიც და ჩვეულებრივიც მაღალხარისხოვანი და გემრიელია, (თანაც მუშებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში), სასადილოს გვერდით პატარა, ლამაზი ოთახია, სადაც შეიძლება მორჩენილ დრო მუშამ ჟურნალ-გაზეთების კითხვაში ან სამაგიდო, თავშესაქცევ თამაშობაში გაატაროს, ვისაც ტკბილეული იზიდავს, მას შეუძლია შეაღოს თანამედროვე ლამაზი კაფეს კარები. აქაური ნამცხვრები საკუთარი წარმოების მარგარინზე დამზადებული, ჰაეროვანი, საამო და ნოყიერია. ფინჯანი ყავა თუ ჩაი ტკბილეულთან ერთად კომბინატის მუშებს უფასოდ მიერთმევათ.

სრულფასოვანი, შეღავათიანი თუ უფასო კვება მყუდრო, კეთილმოწყობილ პირობებში — ეს არის კიდევ ერთი სტიმული მუშის უკეთ მუშაობისა.

ზოგიერთი სამუშაოს თავისებურების გამო მუშას არ შეუძლია სასადილოში თუ კაფეში ჩასვლა. ამისათვის ყველა საამქროსთან გამოყოფილია კეთილმოწყობილი ოთახი, სადაც შეიძლება საუზმობა. საამქროებთან არის შესანიშნავად მოწყობილი გასახდელები, საშხაპეები, დასასვენებელი ოთახები, სადაც შეიძლება ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა, რადიოს მოსმენა.

მუშა საწარმოში თავს გრძნობს უკეთ, ვიდრე ოჯახში. ფიზიკურად თუ მორალურად ის არის ამაღლებული, ძლიერი, კმაყოფილი. ამიტომ სამუშაო უბანზე ფეხზე დგომა ასეთი გუნება-განწყობით სულ არ ეძნელება და მოდის მისი ხელიდან მაღალხარისხოვანი და სულ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია.

ვორკუტა, ვერხოიანსკი, ჩიტა, ნოვოსიბირსკი, ალმაათა, დუშამბე, ფრუნზე, აშხაბადი, მოსკოვი, ლენინგრადი, არხანგელსკი, რიგა, მინსკი, კიევი და კიდევ სხვა ქალაქები კმაყოფილებას გამოთქვამენ სხვადასხვა დასახელების თბილისური მარგარინის, მაიონეზის და ზეთის მაღალი ხარისხის გამო.

კომბინატის სამ პროდუქციას მაიონეზ „გაზაფხულს“, „პროვანსალს“ და 100 პროცენტიან ცხიმს „სამარყანდს“, რომელიც შუა აზიის რესპუბლიკებისათვის მზადდება, ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული. გამოშვებული პროდუქციის 17 სახეობა პირველი კატეგორიისაა. 1970 წლიდან დღემდე გამოშვებულ პროდუქციაზე რეკლამაცია არ მიუღიათ.

თბილისის ცხიმკომბინატის პროდუქციამ თავისი მაღალი ხარისხით აღიარება მოიპოვა საბჭოთა კავშირში. იგი იხმარება პროდუქტების საუკეთესო დამამზადებლად და გამოიყენება როგორც შესაწვავად, ასევე ბუტერბროდებისათვის. თბილისური მარგარინი შეუცვლელია საკონდიტრო წარმოებაში. მალე კომბინატი გამოუშვებს სპეციალურ მარგარინს ნამცხვრის კრემების დასამზადებლად. კომბინატის მარგარინზე მზადდება ნამცხვარი ლენინაკანში გახსნილ სპეციალურ კომფორტულ კაფეში, რომელსაც მოძმე რესპუბლიკის მშრომელებმა „ივერია“ უწოდეს და საუკეთესო კაფედ აღიარეს. თბილისში, მესამე მასივში გახსნილია სპეციალური კაფე, სადაც ცხიმკომბინატის მარგარინზე დამზადებული ტკბილეული იყიდება. გამიზნულია ასეთივე კაფე გაიხსნას საკურორტო ქალაქ სოჭში.

თუ როგორ გაიზარდა საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ბოლო წლების მანძილზე, ამაზე ციფრები მეტყველებენ.

მერვე ხუთწლედის ბოლოს საწარმომ 13 ათასი ტონა მარგარინი გამოუშვა, მეცხრე ხუთწლედში ამ ციფრმა 23 ათას ტონას მიაღწია. მერვე ხუთწლედის ბოლოს 400 ტონა მაიონეზი დამზადდა კომბინატში, მეცხრე ხუთწლედში ეს ციფრი 1.200 ტონამდე ავიდა. მერვე ხუთწლედში 700 ტონა ზეთი იქნა ჩამოსხმული, მეცხრე ხუთწლედის ბოლოს 2.300 ტონა ზეთი ჩამოასხეს.

ამ ციფრების უკან იმალება სწორედ ის სტიმულები, — კარგი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები, რომლებიც კომბინატს აქვს შექმნილი.

სტიმულირების საშუალებაა პრემიები, რომლებსაც ყოველთვიურად იღებენ მუშები. ამას გარდა, ყოველ წელიწადს მეცამეტე ხელფასთან ერთად დირექცია მუშებს აძლევს დახმარებას, საჩუქრებს, დასასვენებელ საგზურებს.

წარმოების მუშებს აქვთ საბოსტნე ნაკვეთები თბილისის ახლოს. საკუთარი შრომით მოწეული ბოსტნეული და ხილი მათი ოჯახების საზრდოა. კომბინატის მუშებისათვის კურორტ კოჯრის თვალწარმტაც მიდამოში წელს ჩადგამენ ფინურ სახლებს, სადაც მათი ოჯახები დაისვენებენ.

ამ ბოლო დროს გახშირდა ასეთი დიალოგი:

— სად მუშაობთ?

— ცხიმკომბინატში.

— მაშინ ყველაფრით კმაყოფილი იქნებით.

ახლა ცხიმკომბინატის მუშებისათვის იკერება სპეციალური სამუშაო ტანსაცმელი. მალე დაიწყება კომბინატის ეზოში საცურაო აუზის მშენებლობა. და კიდევ ბევრი რამ ჩადგება მშრომელი ადამიანის სამსახურში, ბევრი რამ დაამშვენებს და გაალამაზებს მუშის ცხოვრებას.

ამიტომაც ასე ფართო ხასიათი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან მუშები, ბრიგადები, საამქროები.

ყოველ დილას სოციალისტური შეჯიბრების შტაბი კომბინატის დირექტორის შოთა ქუტიძის ხელმძღვანელობით ამოწმებს შეჯიბრების შედეგებს, რომლებიც შემდეგ თვალსაჩინო ხდება თითოეული მუშისათვის, გამარჯვებულებს აქებენ, აჯილდოვებენ, ჩამორჩენილებს ეხმარებიან. ყველა უნდა იყოს მოწინავე — ასეთია შეჯიბრების დედააზრი.

საამქროების შესასვლელში თვალს ხიბლავს მოზაიკური პანოები, მარადმწვანე დეკორატიული მცენარეები, სტენდები. ყველგან ერთნაირი სისუფთავე და წესრიგია. ადამიანს ვერ ნახავთ მუშაობაში არ იყო ჩართული. ყველა თავის საქმით არის დაკავებული. საამქროებში არ დავიწყებიათ მშრომელებისათვის არც აუცილებელი მედიკამენტების კარადა, არც ტკბილი სასმელი წყალი, არც ვენტილაცია, არც ლამაზ ქოთნებში გახარებული ყვავილები.

მარგარინის საამქროში დაფასოებული პროდუქციის გამოშვების უწყვეტი ხაზია, მას ჯონსონის ხაზი ეწოდება. წელს აქ

საექსპორტო მარგარინის, „სამარყანდის" გამომშვები ხაზის განათებაა გათვალისწინებული, რა თქმა უნდა, ესთეტიკურობის თვალსაზრისითაც.

ჰიდროგენიზაციის წარმოებაში ცხიმების უწყვეტი მეთოდით დამამუშავებელი ხაზებია — დესმეტისა და ლავალის ხაზების სახელწოდებით. 22 წელია ამ კომბინატში მუშაობს თინა ჭავჭანიძე, რაფინაციის საამქროს უფროსი. მისი ხელმძღვანელობით აქ მზადდება ნახევარფაბრიკატები მარგარინის წარმოებისათვის და ზეთი მაიონეზის საამქროსათვის. ცხიმების დასუფთავება, რაც ამ საამქროში მიმდინარებს, მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა.

ცხიმკომბინატის მუშაობას წარმართავს საწარმოო-ტექნიკური განყოფილება, რომლის უფროსიც არის ლილი შალამბერიძე. მას ეხება წარმოების ციკლის ხელმძღვანელობა: პროდუქციის გამოშვება, რეალიზაცია, ახალი ტექნიკის დანერგვა, ახალი დანადგარები, ახალი პროდუქციის ათვისება, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვა და სხვა.

აი, რა გავიგეთ მასთან საუბრისას იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა კომბინატში არსებულ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად:

უსაფრთხო მუშაობის სრულ გარანტიას მიაღწიეს წყალბადის კომპრესორების ავტომატიზაციით. დაამონტაჟეს გამრეცხი წყლის დასამუშავებელი მოწყობილობა ცხიმების რაფინაციის საამქროში და მიიღეს 4 ათასი მანეთის წლიური ეკონომიური ეფექტიანობა. ჩაატარეს ელექტროლიზიორის მოდერნიზაცია, რამაც წყალბადის გამოსავლიანობა საათში 20 კუბური მეტრით გაზარდა. წარმოების შეუფერხებელი მუშაობისათვის დაამონტაჟეს და ექსპლოატაციაში გადასცეს წყალბადის აირგოლდერი, სამაცივრო-საკომპრესორო განყოფილებაში მოახდინეს ამიაკის კომპრესორების რეკონსტრუქცია და მრავალი სხვა.

ამ მოწინავე საწარმოს პარტორგანიზაციას სათავეში უდგას დიდი ენთუზიასტი და საქმეზე შეყვარებული ლამარა წულუკიძე.

კომბინატის მოწინავეთა შორის ასახელებენ მარიამ ფადარაშვილს — ტარის წუნმდებელს მარგარინის საამქროდან, მანანა ხუნდაძეს — რაფინაციის საამქროს ბრიგადირს და მრავალ სხვას, რომელთა თავდადებული შრომის შედეგად ცხიმკომბინატმა უკვე მეხუთედ შეინარჩუნა საკავშირო კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სულ 10 ეროვნების წარმომადგენელი შრომობს საწარმოში. შრომობენ შეხმატკბილებულად, მეგობრულად, როგორც ერთ ოჯახში. და მოწინავეებსაც ცალკე ვერ გამოვყოფთ, თითქმის ყველა მოწინავეა, ანდა იბრძვის მოწინავის სახელისათვის, რომ გაამართლოს დიდი და საპატიო წოდება— კომუნისტური შრომის საწარმოს მუშის წოდება.

ლია კაკაბაძე


კომბინატის საბავშვო ბაღში


საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ლილი შალამბერიძე


პარტბიუროს მდივანი ლამარა წულუკიძე


რაფინაციის საამქროს უფროსი თინა ჭავჭანიძე


წუნმდებელი მარიამ ფადარაშვილი

# ორი ინტერვიუ



# ჯულიეთ მახარაძე

მყუდრო ბინაში ორნი ვართ. ჩემს წინ ხანშიშესული, სათვალიანი მანდილოსანი ზის, გვერდით ყავარჯნები უწყვია.

ნინო მესხს დღეს ინვალიდობის გამო უყავარჯნოდ არ შეუძლია სიარული, თორემ ადრე ეს ენერგიით სავსე, მგზნებარე კომუნისტი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, მუდამ სიძნელეებთან ჭიდილში იყო.

— განვლილ ცხოვრებას რომ გადავხედავ, — ამბობს იგი, — და ახლანდელს ვადარებ, ისეთ საოცარ გარდაქმნებს ვხედავ, რომლის წარმოდგენაც გაუძნელდებოდა ადამიანს. ბავშვობა ტყიბულის რაიონის სოფელ ჭვარისაში გავატარე. ლუკმა პური გვენატრებოდა. ლამფის სინათლე ჩვენთვის ფუფუნება იყო. ნავთის ეკონომია რომ გაგვეწია, ხშირად შუაცეცხლის ალზე ვსწავლობდით.

აბა, ახლა ნახეთ ჩემი სოფელი! ნახეთ როგორ ცხოვრობენ კოლმეურნეები, როგორი კეთილმოწყობილი გზები და სახლები ამშვენებს დღევანდელ ჭვარისას. და განა მარტო ჩემს სოფელში მოხდა ასეთი ცვლილებები!

დიდი ინტერესით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს ჩვენი პარტიის XXV ყრილობისათვის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში" და გული სიხარულით ამევსო: რა გრანდიოზული ამოცანებია დასახული მეათე ხუთწლედში ხალხის საკეთილდღეოდ, რა სისხლხორცეულია პარტიის გეგმები ხალხისათვის!

ჩვენ, კომუნისტური პარტიის ძველი გვარდიელები აღფრთოვანებით ვხვდებით ხუთწლიან გეგმებს, რადგან სწორედ ამ გეგმებმა გარდაქმნა ჩვენი ქვეყანა და ხალხს ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა. მხოლოდ ჩვენი პარტიის დახმარებამ შემაძლებინა უბრალო სოფლელ გოგონას მიმეღო განათლება და ხალხის სამსახურში ჩავმდგარიყავი.

რა სირთულეებით იყო აღსავსე ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება. რამდენი შიმშილის, გაჭირვების, შენიღბულ მტერთან ბრძოლის გადატანა გვიხდებოდა მაშინდელ ახალგაზრდობას!

ჩემთვის დაუვიწყარია 1922 წელი. ქუთაისში ვცხოვრობდი, უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელება არ შემეძლო და დახმარებისათვის რევოლუციონერ კატო მიქაძეს მივმართე. მან თამბაქოს ფაბრიკაში გამგზავნა სამუშაოდ. დღისით იქ ვმუშაობდი, საღამოს კი მუშათა ფაკულტეტზე ვსწავლობდი. იმავე წელს კომკავშირში მიმიღეს და მოწინავე ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრებაში ჩავები. 1924 წელს ლენინური გაწვევით რკპ(ბ) რიგებში მიმიღეს. ახლა კი გაორკეცებული ენერგიით ვცდილობდი მოწინავე ვყოფილიყავი სწავლაშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

1924 წელს ქარხანამ თბილისის მუშფაკში გამომგზავნა სასწავლებლად. შემდეგ დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ასპირანტურა მოსკოვში, იქვე დავიცავი დისერტაცია და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მომენიჭა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ვმუშაობდი მეცხოველეობის კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1936 წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მობილიზაციით ონის რაიონის მიწგანის გამგედ გამგზავნეს, იქიდან გადმომიყვანეს საგურამოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად. 1938 წელს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორად ვმუშაობდი, ამასთან შეთავსებით დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი, რის შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დმანისის რაიონის სამშობიარო სახლისა და ქალთა კონსულტაციის მთავარ ექიმად დამნიშნა.

1948 წელს გადმომიყვანეს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის მთავარ ექიმად. პენსიაზე გასვლამდე კი ოქტომბრის რაიონის ბავშვთა ინფექციის კაბინეტის გამგედ ვმუშაობდი.

ამ წლების მანძილზე ყველგან, სადაც კი მიმუშავნია, არჩეული ვიყავი პარტორგანიზაციის მდივნად, ან პროპაგანდისტად და კონსულტანტად.

პარტიამ და ხელისუფლებამ ჩემი მცირეოდენი ღვაწლიც დააფასა და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია დამინიშნა.

ახლა სიხარულით ვადევნებ თვალს ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებს. მიხარია, რომ კვლავ აიწია კომუნისტების ავტორიტეტმა, კვლავ იგრძნობა ბოლშევიკური პათოსი, დაკისრებული მოვალეობისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა.

გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ახალგაზრდა აღარა ვარ და უნარი არ შემწევს მეც მხარში ამოვუდგე ჩვენს პარტიულ ხელმძღვანელობას, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ჩვენი ცხოვრების სასიკეთო გარდაქმნის კეთილშობილური საქმისათვის საბრძოლველად.

მინდა ახალგაზრდობამ იცოდეს, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიმდიდრე პატიოსანი შრომაა. ადამიანისათვის მთავარი ისაა, როცა საზოგადოებაში გამოვა, შეეძლოს ყველას თამამად გაუყაროს თვალი თვალში, არასოდეს არ შერცხვეს თავისი ნამოქმედარისა. მე რომ მკითხონ, რა არის ასაკოვანი ადამიანისათვის ყველაზე დიდი ბედნიერებაო, უსათუოდ ვიტყოდი: იმის შეგრძნება, რომ ამ ქვეყნად ფუჭად არ გიცხოვრია, რომ შენი ძალა და ახალგაზრდული წლები ფუჭად არ გაგიფლანგავს. მიუხედავად ჩემი ავადმყოფობისა, დღესაც მზადა ვარ, დავეხმარო ყველა გაჭირვებულს, ვისაც კი ეს დახმარება დასჭირდება. უკანასკნელ ძალას არ დავიშურებ ჩემი ძვირფასი თანამემამულეების საკეთილდღეოდ.



# საიმედო ცვლა

ხომ გქონიათ შემთხვევა — ძალიან კარგი ადამიანის გაცნობისას ისეთ სიხარულს შეუპყრიხართ, თითქოს დიდი, ძვირფასი რამ შეგიძენიათ.

აი, ასეთი გრძნობა დამეუფლა, როცა ამ ოცი წლის ქალიშვილს ვესაუბრებოდი. მაშინვე მომხიბლა მისმა საღმა, ლოგიკურმა აზროვნებამ, გამაოცა, როგორ მსჯელობდა საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელი გოგონა!

მანანა კეკელიძის მშობლები ექიმები არიან. მან ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, და როცა შევეკითხე, რატომ დედ-მამის კვალს არ გაჰყევი მეთქი, მიპასუხა:

— ბავშვობიდანვე ტექნიკური საგნები მიტაცებდა, ვოცნებობდი ინჟინერი გამოვსულიყავი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი ამიტომ ავირჩიე.

მანანა პირველი კურსიდანვე ფრიადოსანია. თან აქტიური კომკავშირელი. შარშან სამაგალითო სტუდენტი კომუნისტურ პარტიის რიგებში მიიღეს. ამჟამად იგი ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრია და კომკავშირული სწავლების სექტორს ხელმძღვანელობს.

**— რა მიზანს ემსახურება თქვენი სექტორის მუშაობა? — ვეკითხები მანანას.**

— ჩვენი ძირითადი მიზანია, ავამაღლოთ სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური დონე. ამჟამად ჩვენ შევისწავლით პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში". როგორც უკვე პრესაში აღინიშნა, ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში ასახულია პარტიის ლენინური ხაზი, მისი ეკონომიური პოლიტიკის მიმართულებანი. იგი განსაზღვრავს ქვეყნის შემდგომ პროგრესს და შეიცავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ცხოვრებისეულ ინტერესებს.

თებერვალში ჩვენთან იხსნება კომკავშირული სწავლების კურსი. აქ პარტიული კომიტეტის წევრები დაგვეხმარებიან ლექციების, სემინარების, საუბრების ჩატარებაში, რათა სტუდენტობას განვუმარტოთ მეათე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანები. ჩვენ ხომ ამ ხუთწლედის განხორციელებისათვის მოგვიწევს მუშაობა! მეათე ხუთწლედი ახალგაზრდობას მეტად დიდ ამოცანებს უსახავს. სამშობლო მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოითხოვს.

იცით, მე ძალიან მიკვირს, როცა რომელიმე სტუდენტი მოწყენილობას უჩივის, და წუხს, არ ვიცი, თავისუფალი დრო როგორ გამოვიყენოო. აბა, დავუკვირდეთ: ხომ უნდა ისწავლო, ხომ უნდა წაიკითხო ლიტერატურის სიახლენი, ერთი უცხო ენა მაინც შეისწავლო (უამისოდ კარგი სპეციალისტი ვერ გამოხვალ), წახვიდე თეატრში, კინოში, კონცერტზე, შენი წილი საზოგადოებრივი დავალება შეასრულო, კიდევ, თუ ამას ყველაფერს გააკეთებ, და მეგობრებსაც არ დაივიწყებ, თავისუფალი დრო განა დაგრჩება?

**— სამწუხაროდ, ყველა სტუდენტი თქვენსავით არ მსჯელობს. როგორ ფიქრობთ, მანანა, სად უნდა ვეძიოთ ზოგიერთი ახალგაზრდის კალაპოტიდან ამოვარდნის მიზეზი?**

— მე ვფიქრობ სკოლის წლებში. მოსწავლე, რომელიც სკოლაში ვერ ეჩვევა შრომას, ზარმაცობს, სამებზე ძლივს სწავლობს და გაჭირვებით ეწყობა ინსტიტუტში, იქაც სწავლას გულს ვერ უდებს, რადგან საამისოდ ნებისყოფა არ ჰყოფნის. ამიტომ სხვა გასართობს ეძებს და ცუდ წრეშიც ადვილად ხვდება.

**— რა ღონისძიებებს მიმართავთ ასეთი სტუდენტების დასახმარებლად?**

— ჩვენთან ახალგაზრდობის მოსაზიდად ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა, საღამო, გასართობი იმართება. მაგრამ ამ ღონისძიებებსაც ყველა არ ესწრება...

**— წეღან აღნიშნეთ, რომ ახალგაზრდის გაზარმაცება, უნებისყოფობა სკოლიდან მოდისო. მაინც რას თვლით ამის მიზეზად?**

— ვფიქრობ, ოჯახთან ერთად ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებელზე, შემდეგ კი ლექტორზე. კარგმა, მცოდნე მასწავლებელმა არ შეიძლება ახალგაზრდა არ დააინტერესოს. ახლა ინფორმაციის იმდენი წყარო გვაქვს, ყოველ დარგში ისეთი ძვრები ხდება, რომ არ შეიძლება თვითონ პედაგოგმაც ყოველდღიურად არ აიმაღლოს თავისი ცოდნა.

სასწავლო პროგრამებიც ძალზე გადატვირთულია. ხშირად ისე ხდება, რომ სპეციალობისათვის სასწავლო პროგრამით ცოტა საათებია გამოყოფილი. ეს გარკვეულად მოქმედებს ჩვენს ცოდნაზე.

სკოლის წლებში კი ძალიან ბევრს აძლევს ბავშვს სხვადასხვა სექციები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, მისი კაბინეტები, ნორჩ ტექნიკოსთა სახლები. მე, მაგალითად, ძალიან ვუმადლი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურის წრეს, სადაც წლების განმავლობაში ვმეცადინეობდი. და რა კარგია, რომ მეათე ხუთწლედში სკოლისგარეშე დაწესებულებათა მეტი გაფართოებაა მოსალოდნელი!

მეათე ხუთწლედი ახალგაზრდებს ბევრ სასიკეთო სიახლეს გვპირდება. ფაქტიურად, ყველაზე მეტად ჩვენთვის ხდება ეს დიადი ძვრებიც. მთელი თავისი მოღვაწეობა პარტიამ ხალხის კეთილდღეობას, ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას მიუძღვნა. ვისია ეს მომავალი? ჩვენი, ახალგაზრდობის.

და რას თხოულობენ სანაცვლოდ ჩვენგან?

იმას, რომ ვიყოთ ღირსნი, გვერქვას საბჭოთა ახალგაზრდის სახელი.

**ინტერვიუ აიღო ლარისა ხუბულურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჯაფარიძე

# რწმენა

ვუძღვნი ალავერდის აღდგენილ ფრესკებს

საკვირველია პირდაპირ, ვიღაც ხუმარა მაღალ სამრეკლოზე აცოცებულა და ამ წვიმაში ჟანგიან ზარებს აჟღარუნებს. ნეტა ვის უხმობს. მონასტერში ბნელა და ალბათ საკურთხეველთან ქარი დაფაჩუნებს, რამდენი ხანია დედაქალაქში წაიღეს მოოქროვილი ხატები და მაღალი შანდლები.

არ მეძინება. ყრუანტელს მგვრის ზარების ეს გაბზარული ნაღვლიანი მოთქმა. წვიმის იდუმალ შრიალს სარკმელში სიგრილე შემოაქვს. იქნებ სამრეკლოზე არც არავინ არის და მხოლოდ ქარი ახლის ერთმანეთს ზანზალაკებს... ვინ იცის... გათენდება თუ არა, აქედან მაღალი გუმბათი, გაწუწული ტირიფები და ცას მიბჯენილი მთები გამოჩნდება.

ვინ არ ამოდის ტაძრის სანახავად. ხან უხმოდ დგანან და გულხელდაკრეფილი შეჰყურებენ ამ საკვირველ მშვენიერებას. ხან სახელდახელოდ იხატავენ სარკმლის ჩუქურთმიან არშიას, ვაზისა და სიცოცხლის ხის მრავალნაირ მოტივს, ქვაში საარაკო გულმოდგინებით ამოტვიფრულს. ან კიდევ, დედაბოძივით მტკიცედ ნაგებ სვეტებს, ჯერ კიდევ მაგრად რომ შებიჯგებიან გუმბათს და კიდევ დიდხანს გაუძლებენ დროის სრბოლასა და ამინდის ცვალებადობას. ზოგჯერ აქ უსაქმურები ამოდიან, ვიღაც გოგო-ბიჭები, სადაც კი მოიხელთებენ, წარწერებით აჭრელებენ ფრესკებს. მათ ძველებური არაფერი მოსწონთ. არც ეს დიდრონთვალება ნაღვლიანი ღვთისმშობელი და არც თეთ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი. ქილიკობენ. ქირდავენ ძველი ოსტატების ნახელავს. მერე ხავსმოდებულ საფლავის ლოდებზე ჩამომსხდარნი, ხმაურიან პიკნიკს იხდიან. სპიდოლას ჩართავენ და გესმით? ეს მირეი მატიეა პატარა ფრანგი შანსონიე. განა ცუდად მღერის... სევდიანად მოთქვამს გიტარა, მაგრამ ნახმლევ საფლავებს ჩვენებური წყნარი ლილინი უფრო მოუხდება: სამ ხმაში ნათქვამი „შენ ხარ ვენახი..“ მერე ისევ დუმილი მეფდება მონასტერში. აღარც სპიდოლას ხმა ისმის და აღარც მოქეიფეთა ღრიანცელი. ცას ალმური მოსდებია, თითქოს კაბადონზე ჭიაკოკონა დაუნთიათო, მკვდრის მზე ანათებს. ბზის ტოტებში სხივები ატანენ და უპატრონო საფლავის ქვებზე მათი მეწამული ათინათი ლიცლიცებს. აქ უაზონი განისვენებენ — მეომარნი, გლეხკაცნი, ოსტატები, კირითხურონი. საუკუნო ხსოვნა და შესანდობარი იყოს მათი. ქეიფის მაზანდაში შესულთ, გათელილ კოინდარში ქაღალდის ნაკუწები და ბრჭყვიალა კონსერვის ცარიელი კოლოფები მიუტოვებიათ, სამრეკლოზე კი აჟღარუნებენ და აჟღარუნებენ ჟანგიან ზარებს...

ალბათ ფიქრობ, ეს რა ახირებული მონაზონივით მელაპარაკებაო. ძია თორნიკემ, ჩვენი ძველი ძეგლების მფარველმა, გამოცდების შემდეგ აქეთ წამოგვიყვანა. თამრიკო, რუსუდანი და ვიოც აქ არიან. ჰოდა ვსწავლობთ ახლა ძია თორნიკესაგან ჟამთაალმდგენლის ხელოვნებას...

ყოველ ცისმარე დღეს, მონასტერში, იმპერატორ ალექსანდრეს დროინდელ შეფეთქილ კედლებს ვწმენდავთ. აქაო და მისი ბრწყინვალება კახეთს მობრძანდებაო და ამდგარან და ბათქაშით დაუფარავთ ეს ამოდენა ფრესკები. აი უკვე აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს ეს მკრეხელური დამღა ჩამოვაცალეთ. თქვენი ჭირიმეთ, ეს რა საარაკო სილამაზე გამობრწყინდა. ნეტა იმ დალოცვილმა ძველმა ოსტატმა როგორ იპოვნა ამდენი ფერი. ზოგი კამკამა ფირუზი, მინდვრის ყვავილების ფურცლის სინაზით აღბეჭდილი. ხან კი ყურძნისა და ბროწეულის ნაყოფის ნაჟური. აი ის, ლურჯტუნიკიანი ანგელოზი — ოქროცურვილი შარავანდედითა და კაცური ტკივილებით სავსე თვალებით. ესეც საიდუმლო სერობა, ხარება, ჯვარცმა, ხელებაპყრობილი, თვალებდათხრილი თეთრი ანგელოზები ნეტა რა ხელმა გაიმეტა... გუშინწინ, მაღლა, თამარ დედოფლის ფრესკა გამოჩნდა...

როცა ნაღველი მომეძალება, შენზე ვფიქრობ: როგორ უეცრად გაუჩინარდი და ქვეყანა თითქოს დაცარიელდა. სად წახვედი, კაცო, სად დაიკარგე. სულ სადღაც მიიჩქარი. სადღაც მიილტვი. მოუსვენარი ხარ. ამ გაუთავებელ ფაცი-ფუცში დრო მიდის, იცი. ეს სულისშემძვრელი მარტოობა, ფარხმალდაყრილი კაცის ტკივილებით ათას რამეს მახსენებს. თურმე ერთხელ მეცნიერებს ექსპერიმენტალური ლაბორატორიიდან მეორე ქალაქის სამეცნიერო ცენტრში გადაჰყავდათ პატარა დელფინი, უეცრად მუშებს აკვარიუმი ხელიდან გაუვარდათ, დელფინმა თავი ქვაფენილზე დაარტყა და გრძნობა დაკარგა. ექიმებმა რა არ იღონეს, რომ პატარა გონიერი არსება გადაერჩინათ, მაგრამ ამაოდ. სიკვდილის წინ დელფინმა სასოწარკვეთილი ხმები გამოსცა. მეცნიერებმა ჩაიწერეს მისი უკანასკნელი განწირული ჩივილი და როგორღაც, ელექტრომაგნიტური ხელსაწყოების საშუალებით გაშიფრეს... იცი რა უთქვამს მომაკვდავ დელფინს?... — როგორ მოგვატყუესო... რა სასტიკი განაჩენია ნდობის, ერთგულების და სიყვარულისათვის. ყველაფერი, რაც გამაჩნდა, შემოგწირე, მოგენდე, როგორც ის პატარა დელფინი და — ხედავ როგორ დავისაჯე. თითქოს გადარეული თქეში და ქარბორბალა მოვარდა, ბუხარში ცეცხლი ჩამიქრო, კარმიდამო წამილეკა და დედაბოძი წამიქცია, ვზივარ ამ გამოკეტილ სახლის კართან, ოდესღაც ჩემი რომ იყო და, შეცივნული, სასოწარკვეთილი გელოდები. ვინ იცის, გაღვივდება კვლავ ჩვენი მინავლებული სიყვარული და სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვნის? მაინც სად არის ის იდუმალი ლაბირინთი და სათავე იმ ჰარმონიულობის დარღვევისა, რომელმაც დაუნდობელი სიმკაცრით ყველაფერი დაანგრია. ალბათ იქ, სადაც ჩვენი ხასიათი და ნებისყოფა ჩამოყალიბდა, როცა ჯერ კიდევ ყრმებმა კაცთმოყვარეობის საყოველთაო კანონები შევითვისეთ. ეჰ, რა ცუდად წარმართულა გაადამიანურების ეს რთული პროცესი. განა ჩვენი სული, როგორც ყვავილი ამ ნაყოფიერ მიწის ხნულში არ აღმოცენდა? მაგრამ მისი ღერო სუსტი და უსუსური გაიზარდა. ნაფუძვარზე ნეტა რა ვაზი იხარებს, რა კეთილი ანგელოზი დასახლდება... რა ფასი ექნება მოყვასისა და ქვეყნისადმი ჩვენს ერთგულებას. განა ასე არ არის, ვიორგი, თუ ამ მიწის მებაღეცა და ჭირისუფალიც ჩვენ არ ვიქნებით, თუ არ გვეცოდინება ჭეშმარიტი სიყვარულისა და ერთგულების ფასი?

ახლა ჩვენს ტყუპ ბიჭებს სძინავთ. მზისგან როგორ ალანძულან, დედა ენაცვალოთ. მშვიდად ფშვინავენ. ჯერ შეიცადე, ნუ გეშინია, არ გამოგიწვდიან პატარა თათუნებს, ახლა ისინი ჭრელ სიზმრებს ხედავენ და როგორც იტყვიან, ანგელოზებს ეთამაშებიან. მერე კი რა გითხრა, დრო გავა და თვალს გაგისწორებენ. მაშინ ვინ იცის, გაგიძნელდეს კიდევაც მათთან პირისპირ დადგომა. შენ ამაზე გიფიქრია? . ალბათ გგონია, რა გიჭირს, რა, ფული ბევრი გაქვს და არაფერი ამქვეყნიური სიამტკბილობა არ გაკლია, მაგრამ იცოდე, ხელისჭუჭყით ყველაფრის ყიდვა არ შეიძლება. არის რაღაც წმიდა, რომელსაც ვერ დაეუფლები. იგი მხოლოდ უნდა დაიმსახურო. ამას ამბობს ცხოვრების დაუწერელი კანონი. მე ვიცი, უშენოდ გამიჭირდება ჩემი ერეკლესა და ამირანის აღზრდა, მაგრამ გავუძლებ მარტოხელა დედაკაცისა და დედის მძიმე

ულის გაწევას. ალბათ მისი აპეურები მარწუხებივით ჩამაფრინდებიან, მაგრამ ჩემს მოდრეკილ ქედს დიდი გამძლეობის უნარი გააჩნია. მე ხომ დედაკაცი ვარ. არა, ნებას არ მივცემ, რომ ჩემი შვილების სუფთა აზროვნებაში შხამი ჩაიღვენთოს, ანგარებისაკენ სულმა წასძლიოთ, ნხვისი უბედურების საფასურად საკუთარი კეთილდღეობა განიმტკიცონ. ანდა იოლად, ვიღაცის დახმარებით მისწვდნენ მაღალ მწვერვალებს... უპირველესად მოყვასისა და მიწის სიყვარულს ვასწავლი, ბრძოლის და შემართების, ქედუხრელობის, ჭეშმარიტების, სიკეთის რწმენას შთაუნერგავ.

...მაგონდება შარშანდელი ზაფხული ქობულეთში — ზღვის ნაპირზე ჩვენი ფიცრული ცისფერი ოდა, ეზოში ვეება ფიჭვები და ტოტებგაფოფრილი მაგნოლია, მისი თეთრი ყვავილების, ზღვისა და ხასხასა წიწვის სურნელით სავსე ჰაერი.

ქვიშაში ჩვენი ბიჭები თამაშობდნენ, მერე ტიტლიკანებს მხრებზე შევისვამდით და ზღვისკენ გავრბოდით. იქედან შორს იყო ხმაურიანი ქვიშნარი ნაპირი, თაკარა სიცხეში დაყრილი წითელი სხეულები, არც არავისი ცნობისმოყვარე მზერა და შურიანი ჭვრეტა გვწვდებოდა. ურთიერთის სიყვარულით სავსე ვიყავით. მერე დაქანცულ ციცქნა ბიჭებს ფიჭვების ჩრდილში ვაძინებდით. ერთხელ, გახსოვს, ძალიან შორს გავცურე. შეგეშინდა და დამედევნე. როგორც იქნა, ნაპირს მივაღწიეთ, ნეტარებით გავიშოტეთ. ვკანკალებთ, ცხელ ქვიშას ვეკვრით. ზღვას თვალს ვერ ვუსწორებ. მზე ჩადის და თითქოს უსაზღვრო სილურჯეში იძირება მისი მხურვალების სისავსე. მეჩვენება, რომ ეს მეწამული თიმთიმა დისკო სულ ქვემოთ და ქვემოთ ეშვება, რომ მერე მედუზებთან, თევზებთან, დელფინებთან, ვასკვლავებთან ერთად დაიძინოს, როგორც დაღლილმა და ალერსით მოთენთილმა ქალმა. რა ლამაზი თვალები გაქვს, კრიალა გუგებზე ჩემს თავს ვხედავ, სარკესავითაა. შემიძლია აწეწილი თმაც გავისწორო. ზღვის მოქცევა დაიწყო, ტალღებმა ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ ძალიან მეზარება განძრევა. შენი დიდი მხრები მიფარავენ მოჭიატე სხივებისაგან. მერე დაიხარე და შეცივნული გამათბე. და ასე ვიწექით თბილ ქვიშაზე. ვითვლიდით, რამდენი ვარსკვლავი აინთებოდა ბნელში, ვითვლიდით და გვჯეროდა სიყვარულის მარადისობა, გვეგონა არასოდეს მოვკვდებოდით.

ახლა წუთისოფლის ორომტრიალში მირაჟი გაქრა და როგორც უდაბნოში, მარტო დავრჩი. ჩემთვის ის ბედნიერი დღე აღარ განმეორებულა იმიტომ, რომ შენ წახვედი... გაიქეცი, როგორც მშიშარა დეზერტირი, მამრული გამძლეობა მოგიდუნდა. ფარას თუ წინამძღოლი ყოჩი დაუვარდა, შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს. შენ ეს ჩემზე უკეთესად მოგეხსენება. მაგრამ, ამ პირთამდე სავსე ტკივილმა ისე გამაკერპა და გამაკაჟა, რომ სულით არ დავცემულვარ. ცრემლი სისუსტის ნიშანია. არ ვაპირებ მოვიჭრა ჩემი გრძელი ნაწნავები და ამ



მხატვარი დ. ერისთავი

მონასტერში მონაზვნად აღვიკვეცო, არა... უნდა ვიპოვნო ის რწმენა, რომელიც ასე უეცრად დავკარგე. იგი სადღაც აქ არის, ამ მიწაზე!

იცი, ერთი არაკი მინდა მოგიყვე იმაზე, თუ როგორ უნდა გაფრთხილება მშვენიერებას, ყველაფერს სანუკვარსა და ძვირფასს. ერთხელ, სადღაც შორეულ უდაბნოში არქეოლოგებმა იპოვნეს ოდესღაც მორჭმული დედოფლის აკლდამა. თავის ქალასა და ძვლებს შორის ოქროს გვირგვინი და კვერთხი აღმოჩნდა, პატიოსანი თვალით შემკული და დამშვენებული. შემაღლებულ სასთუმალთან მოცეკვავე ქიმერების გამოსახულებიანი სურები, ნელსაცხებლის ჭურჭელი ეწყო... ირგვლივ მიწის და სიკვდილის სუნი ტრიალებდა. ათასწლოვანი ძალაუფლება, სილამაზე, ყველანაირი ამქვეყნიური ვნება ჩაფერფლილიყო ამ პატარა მიწის ორმოში, მხოლოდ ხელოვნების ორი შედევრი — გვირგვინი და კვერთხი გადაურჩა სიკვდილის დამთრგუნველ ძალას. არქეოლოგებმა ოქროს ეს ძველთაძველი ნივთები, რომლებიც უცნობ ოსტატს საკვირველი მშვენიერებით გამოეტვიფრა, სადღაც, შორეული დიდი ქალაქის მუზეუმში გაგზავნეს მინის კარადებში გამოსაფენად. სხვადასხვა დროს დაათვალიერეს თურმე ეს საარაკო ნივთები — პრემიერმინისტრებმა, მწერლებმა, მსახიობებმა, მხატვრებმა, გლეხებმა, ღვთისმსახურებმა თუ ჯალათებმა; ზოგი სიხარბეს ვერ მალავდა, ზოგი აღტაცებას, ზოგი გაოცებას. იქნებ, ყველას ერთნაირად არც ესმოდა მათი მხატვრული ღირებულება, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მშვენიერება თავის კვალს ტოვებდა ადამიანთა სულში... მშვენიერება ყველასა და ყველაფერზე აღმატებული. ერთხელ, თურმე, გვირგვინიცა და კვერთხიც მუზეუმის მინის კარადიდან გაქრა. ამბობენ, რომ ისინი ვიღაც ილუზიონისტმა და ცირკის ჯამბაზმა მოიპარა და აჩუქა თავის ფაშფაშა ცოლს. მან გვირგვინი ოქრომჭედელს გადაადნობინა, ტლანქ ბეჭდებათ და საყურეებად ჩამოასხმევინა. ხოლო კვერთხი დიდ რკინის სკივრში ჩაკეტეს ძველისძველ თამასუქებთან, ბაბთებიან ჩაჩსა და სანელებლების ნაირნაირ ქოთნებს შორის.

თურმე, მას შემდეგ, იმ მუზეუმის მაღალ ფანჯრებთან, ასეთ წვიმიან ამინდში, შეამჩნევენ ხოლმე მუზებს... ისინი დასტირიან მშვენიერებას, რომელსაც ადამიანები ვერ გაუფრთხილდნენ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, გახსოვს?! პარიზში მონმარტრზე ერთმა ფრანგმა მხატვარმა დაგხატა. მხატვარს მადლენი ერქვა, მადლენ კუტიენი, ო, ეს შემთხვევითი შეხვედრები და ცივი ამბორი, როგორ ადუნებენ შენს ემოციებს და გულგრილობით პირთამდე გავსებენ... ის მადლენისეული პორტრეტი ახლა შენს ოთახში ჰკიდია და ფერწერული პატივმოყვარე კაცი უცხოთა თვალში ერთხელ კიდევ აშიშვლებს შენი სულის შორეულ კუნჭულებს. ჩვეულებრივი ქალური შურისძიებაა ცდუნებისათვის, იმ დაკარგული წუთებისათვის, გახსოვს! — ლურჯთვალება მადლენი კი მონმარტრზე ისევ მოლბერტთან თმაგაშლილი დგას და ხატავს, ხატავს უნებისყოფო, ჭკვიან, გაიძვერა, თუ კეთილშობილ მამაკაცებს, ასეთია მისი პროფესია. იგი მართალი ფერმწერია.

კიდევ იცი, ახლა რაზე ვფიქრობ, როცა ხარაჩოზე კედელთან ვდგავარ ხელებდაკაპიწებული და ფრთხილად ვწმენდ კირის ფენას წმიდანის სახიდან? — ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს დაშრეტილ სხეულს სიცოცხლეს ვუბრუნებ. აგერ, თვალები ამოტივტივდნენ, დიდი კაეშნიანი თვალები.

უკვე ველარ ვგრძნობ დაღლას, აღარც მუხლის სისუსტეს. ამ კრიალა ფერებმა თითქოს მზის შუქი შემოიტანეს ბნელ ტაძარში. რამდენი მოშურნე, მტერი თუ მოყვარე ნახავს ახლა ამ ფრესკებს. ნახავს და გაოცდება. ნეტავ ვინ იყო ის უსახელო მხატვარი, სად განისვენებს ახლა მისი დაღლილი, გათოშილი ძვლები. ალბათ ასეთ ხარაჩოზე იდგა და ქმნიდა ქვეყნის წარღვნასა და სამოთხის სისპეტაკეს. ღვთისმშობლად თავისი მიწიერი დედაკაცი წარმოედგინა და ქრისტედ — ძარღვიანი გლეხკაცი. ვინ იცის, შიოდა და სწყუროდა კიდეც, მაგრამ რწმენა უზენაესი ჭეშმარიტებისა არ დაუკარგავს. მჯერა, არავის არ სთხოვდა ტაშსა და აღიარებას, გუნდრუკის კმევას. იგი მხატვარიც იყო, მიწის მუშაც და მეომარიც. მის ქმნილებათა პიროუთვნელი მსაჯული დრო არის მხოლოდ, დრო, ყველასი და ყველაფრის გამკითხავი, როგორც იტყვიან, მეფეთ-მეფე ხელმწიფეთა.

ჩემი ხარაჩოდან ვიწრო სარკმლით წითელკრამიტიან სახურავებს გადავყურებ, მერე თავდაღმართში სათიბები იწყება, თივის ზვინები, მწვანე ოლეები, იონჯის, პიტნის სურნელით თავბრუ მეხვევა. გუშინ ერეკლესა და ამირანს სამი წელი შეუსრულდათ. დეიდა თებრომ, ჩვენმა კეთილმა მასპინძელმა, ბაზრიდან მათ საჩუქრად თეთრი ბატკანი ამოჰგვარა. სიხარულით ცას ეწიენ ბიჭები. ლამის არის მათმა ჭყლოპინმა მთელი გოგილაანთ უბანი აიკლოს;

დეიდა თებროს ერთადერთი შვილი ომში დაიღუპა. მწუხარებამ ქვად აქცია, გააკერპა დედაკაცი, ჩემს ბიჭთან რა ხელი აქვს სიკვდილსო. აგერ, ორღობეში გამოჩნდება, ჭიშკარს შემოაღებს და ბუხუნა ხმით შემომძახებს — დედი, მოვედი კაცოო, კარფანჯარა ე რა ურდულით ჩაგირაზავთო... — სჯერა, სჯერა, რომ დაბრუნდება. კიდევ კარგი, რომ რწმენა არ დაუკარგავს. ასე შრომასა და ფუსფუსში მიაქვს თავისი წილი ხნული.

ასეთია წუთისოფელი, ასე ტრიალებს ცხოვრების ჯარა. განა მე და შენ სამყაროს პაწაწინა ნაწილაკები არა ვართ? ვიბრძვით, ვიტანჯებით, ვიმედოვნებთ, ვშრომობთ, შეჰირვებას არ ვემორჩილებით, იმიტომ რომ გვჯერა, — დედამიწაზე რახან მოვედით, უკვალოდ არ გავქრებით, არ გავუჩინარდებით. რაღაც ჩვენებურად უნდა ვთქვათ სათქმელი. ჩვენი წილი სუნთქვა დავტოვოთ და მერე შევძლოთ დამშვიდებულნი და ვალმოხდილნი გზას გავუდგეთ.

ზოგჯერ, დილაადრიან, როცა ძია თორნიკესთან ერთად კედლის გაწმენდას შევუდგებით ხოლმე, ზვრებში მუშაკაცს სულ ცოტა ხუთიოდე მწკრივი უკვე გათოხნილი აქვს. ვაზის ჭირიმე, ვაზისა, როგორ ხასხასებს მისი რქანაყარი შოლტები. მიწის წიაღიდან აღმოცენებულ ყოველ მარცვალს, ყოველ ნაყოფს ამ ღონიერი მხვნელისა და მთესველის დაკოჟრებული ხელები ეხება, ან, აგვირისტებენ, ასათუთებენ. — ხანდახან ვფიქრობ, სადა აქვთ ამდენი ძალა, მოთმინება, დიდსულოვნება. ღმერთმა ნუ ქნას, დაიშრიტოს მათი ფილტვები: გლეხკაცი მარტო მიწის მუშა როდია, არამედ თავგანწირული ჯარისკაციც და ოჯახის ერთგული თავკაციც არის, ამიტომაც მას მარტო ქებათა-ქება კი არ სჭირდება, არამედ ნაღდი სიყვარული და გაფრთხილებაც.

ხომ იცი, ყველას თავისი ადგილი აქვს ცხოვრებაში — გლეხსაც და მეცნიერსაც, მსახიობსაც და მწერალსაც. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა კეთილსინდისიერებით ემსახურება ერთიცა და მეორეც, მესამეცა და მეოთხეც თავის საქმეს. აი, შენ ნუ გამირისხდები და, კვარცხლბეკისაკენ მიმავალი საფეხურები ძალიან ნაჩქარევად აირბინე. ვიღაცამ ხელი შეგაშველა, სიტყვა შემოგაწია და... მეტიც არ გინდოდა... ახლა, როცა დიდ შემართებას მოითხოვს შენგან ის რთული ექსპერიმენტები, რომელსაც ასე ნაჩქარევად, ნაუცბათევად ხელი წამოჰკარ, ძალა აღარ გყოფნის, ახლა რა გეშველება, მეცნიერება ლამაზი ქალი კი არ არის, ელაციცო, მერე როცა მოგბეზრდება, მიატოვო და სხვასთან წახვიდე. არა, ტყუილად ფიქრობ, რომ თუ სამეცნიერო მივლინებით უცხოეთში წახვალ თემაზე მუშაობას წარმატებით დაამთავრებ. ჭეშმარიტი მეცნიერი რომ გახდე, მხოლოდ აქ, ამ მიწაზე, შენს სახლში აქვს ამას ფასი, გახსოვს, მიამბობდი, როგორ გადაიხვეწა უცხოეთში პაპაშენი და მერე ყველასგან მიტოვებული უკურთხებელ მიწაში ჩაწვა.

ეს უფრო მწარე ხვედრია ქართველი კაცისათვის, ვიდრე აღმოსავლეთის ბაზარზე მამელუკად გაყიდვა.

— ეეჰ, გზააბნეულო ბიჭებო, ოდესღაც ოქროთი, ალერსით, თრიაქით მოსყიდულნო, ჰაიჰარად რომ გაფლანგეთ თქვენი ნიჭი, ღონე და სითბო. როცა უცხოობაში მოგეძალათ ნოსტალგია, ნაღველი დაუტირებელ დედაზე, გათხოვილ საცოლეზე, ჩამქრალ კერაზე, ყველასაგან დავიწყებულებმა და ზურგშექცეულებმა საფლავშიც ველარ იპოვნეთ სულის სიმშვიდე...

...ტაძრის სარკმლიდან ჩვენი კავკასიონი ჩანს. ამოვლენ, ამოიფოფრებიან თეთრი ნისლები, ხევებსა და უფსკრულებს, ბილიკებსა და ჭიუხებს მოედებიან. რა ფაფუკი, რა ბამბისქულა ბლონდი გადაეფინება ცასა და მიწას. მერე ალაზნის ველის ფერადებს ირიბად ჩამოჭრილი მზე გაანათებს. ზემოთ, ამ ნისლების გადაღმა ხევსურეთია. შატილსა და არხოტს უბრუნდებიან ქალაქს გაფერმკრთალებული ხევსურები.

— აგაშენათ ღმერთმა, სახლიკაცებო, რახან გონს მოეგეთ და ნაფუძვარს დაუბრუნდით. ჰო, ასე, შენი ჭირიმე, ადგილის დედაო, შენ სისხლსა და ხორცს კარი გაუღე, შენი მადლიანი კალთა გადააფარე. ხოლო ყოველი „კუდიანი“ და „ავისული“, რომელიც ამ მიწაზე ფეხის შემოდგმას გაბედავს, იავარყავი.

კაცო, გესმის, მე შენზე ბედნიერი ვარ, რადგანაც შემიძლია, აი, ის გლეხიც, წელან, რომ ვახსენე, ჩემი შვილებიც, ის ხევსურიც, ეს კავკასიონიც, დეიდა თებროც, ძია თორნიკეც, ძველთაძველი საფლავებიც, ფრესკებიც, ეს თეთრი ნისლებიც მიყვარდეს. სიკვდილისა არ მეშინია იმიტომ, რომ ფეხი მიწაზე მაგრად მიდგას, თითქოს მისი ძალა ჩემში გადმოდის და ყოველი ბოროტისა და ავისაგან მიცავს.

რამდენიმე დღის შემდეგ სარესტავრაციო სამუშაოები დამთავრდება და დედაქალაქისაკენ გავემგზავრებით. მე კი მინდა კიდევ ერთხელ გაგახსენო ჩვენი ძველი სიყვარული. გახსოვს მომიყევი, რომ მადრიდში კორიდა ნახე და მოიგონე დიდი მატადორი მანუელ როდრიგეს სანჩესი, რომელიც არენაზე ღიმილით მოკვდა. და მე ახლა შენი სიყვარული გამახსენდა. იგი ყინულის ჭირხლს მაგონებს, სარკმლის მინაზე ჯადოქარივით რომ მოხატავს ზამთარი. ეს თეთრი ორნამენტების ცივი სილამაზე მხოლოდ ჰაერის ტემპერატურაზეა დამოკიდებული და მეტი არაფერი. ჩემი სიყვარული კი იმ მატადორივით თავგანწირულია. ამბობენ ხარი კი არა, სიკვდილი ამარცხებს ტორეადორს. როცა სანჩესი მოკვდა, უკმაყოფილო მაყურებელმა კორიდა დასტოვა. სადღაც არენაზე ეგდო მიტოვებული წითელი მანტია. არავის არ დაუტირებია მატადორი. თურმე ასეთია მათი ხვედრი. მთელი ღამე ბორგავდნენ ხარები. მათ მეორე დღეს ისევ ელოდებოდათ მოსასხამში გახვეული სიკვდილი. იმასაც ამბობენ, სიყვარული დედამიწაზე მილიონობით სიცოცხლეს წარმოშობსო... მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ვჩქარობ. სიჩუმეა. შენ გესმის, როგორ უჩუმრად მოგვეპარა სიბერე? მაღალი ხეები, შეყვითლებული ფოთლებით, სულ ასე დგანან წვიმაში. მათ ფრთები არა აქვთ, როგორც წეროებს, თბილ ქვეყნებში რომ გაფრინდნენ. არც თვალები, რომ იტირონ, როცა მათ სტკივათ, მაგრამ საოცარი დედები არიან, გაზაფხულზე წარმოქმნიან პატარა ყვავილებს, რომლებიც მერე ნაყოფად იქცევიან.

# „თამარ, წარუძეხ სოფელს!“

„თანამედროვე ქართული მწერლობა, განიხილავს რა ცხოვრების ავ-კარგს, თავისი სიტყვით და საქმით კომუნისტური საზოგადოების მშენებელია და შემოქმედი.

ახალი ლექსების, პოემების, მოთხრობებისა და მხატვრული ნარკვევების ამ სერიული გამოცემით იგი მიზნად ისახავს, იყოს დიდი მეცხრე ხუთწლედის მონაწილე“. ასეთი წინათქმა უძღვის გამომცემლობა „მერანის“ სერიულ გამოცემას: „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“. ამ სერიის საშუალებით არაერთი ქართველი მწერალი გაესაუბრა მკითხველს, თქვა თავისი მართალი სიტყვა და ამით კიდევ ერთხელ გახდა, თვალსაჩინოდ გახდა — გასული, დიდი მეცხრე ხუთწლედის მონაწილე.

გრიგოლ ჯულუხიძის პოემა „სანავარდოს გაზაფხული“-ც სწორედ ამ სერიით გამოიცა. მისასალმებელია, რომ პოეტმა თავისი პოემის ლირიკულ გმირად ქალი დასახა, საქვეყნოდ ცნობილი ქალი: სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის ლენინის ორდენოსანი — თამარ თავაძე.

თამარ თავაძე! ამ სახელს და გვარს კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში. მეოთხედ საუკუნეზე მეტია იგი სათავეში უდგას თავისი სოფლის კოლმეურნეობას, მისი სიხარულით ხარობს, მისი საფიქრალით ცხოვრობს და იღვწის. ასეთი ადამიანებით სამართლიანად ამაყობს ჩვენი მამული:

შენც შენებურად ებრძოდი მომხდურს,
შენც რაიხსტაგზე აგქონდა დროშა...
დამთავრდა ომი, ამოსულ მზესთან
შენი ამაყი სახელიც მოჩანს.

ანდა:
თამარ! დარეკე ზარები!
თამარ, წარუძეხ სოფელს...
შენი მანდილის ნათელი
ქალებს სინათლეს მოჰფენს.

მხედარი ქალი უხდება
მერანს — ქარივით ფრთამალს...
რა სიყვარული გცოდნია,
რა ერთგულება — თამარ!

ამ პატარა, ლირიკულ პოემაში ფერადოვნებითაა მოხატული სახე სახელოვანი ქალისა. ამასთან ერთად, იგრძნობა ახალი თაობის ჭეშმარიტი სიყვარული ღვაწლმოსილი, ამაგდარი ადამიანისადმი, ნუმც დაგვლევია სიყვარული და პატივისცემა ამდაგვარი:

„ქვეყანას ისევ სჭირდება
თამარ თავაძის სიტყვა“ —

აღნიშნავს პოეტი, და თამარ თავაძის სიტყვა იგივე საქმეა, ქვეყნისთვის საჭირო საქმე.

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატარებისათვის

იმერი ხარაძე

### მზე სიცილით ამობრწყინდა

მზე სიცილით ამობრწყინდა,
რა დილაა ნათელი!..
სახურავზე ცრემლად დნება
უთვალავი ფანტელი...

აღარ გვაყრის ვერცხლის ფიფქებს
უხილავი საცერი.
გუშინდელო თოვლის პაპავ,
დღემდე როგორ გაძელი?!..

* * *

ეკამ ცუგა ატარა
ეზო შემოატარა.
განა მართლა ლეკვია?
სათამაშო, პატარა.

ყეფა-ყეფით, უეცრად
სად იყო და სად არა:
გამოვარდა ნამდვილი
ძაღლის ლეკვი პატარა.

თათიც კი მოუქნია,
განა ყეფა აკმარა?
და ნაკუწად აქცია
ეკას ლეკვი პატარა.

გიორგი შეთეკაური

### წვიმის შემდეგ

დილიდან რომ დაიწყო,
წვიმდა, წვიმდა, წვიმდა,
მერე გადაიკარა,
სხივი მოწყდა ციდან.

გახლეჩილი ღრუბლიდან
მზემ თვალები ჭყიტა,
დაინახა ბაკური,
დაუძახა: ჭიტა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი გვარდიის წევრები

1975 — ქალის საერთაშორისო წლის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდა ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს ვეტერან ქალთა სექცია.

ადრე ეს ქალები პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ქალთა განყოფილებებში მუშაობდნენ და საკმაოდ მდიდარი გამოცდილებაც შეიძინეს.

ჩვენ ბინაზე ვეწვიეთ ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური საბჭოს ვეტერან ქალთა სექციის თავმჯდომარეს ოლია საბაშვილს. მისი არქივი უამრავ მასალას: ფოტოსურათებს, მიმოწერებს, დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, ოქმებს ინახავს, რაც ჩატარებულ დიდ მუშაობაზე მეტყველებს.

— პირველად ჩვენი მუშაობა უბრალოდ, მაგიდასთან საუბრით დაიწყო, — ამბობს ოლია, — ვიკრიბებოდით ქალთა შორის მომუშავე ძველი მუშაკები, ვმსჯელობდით, ვფიქრობდით, როგორ ჩავრთულიყავით აქტიურ მუშაობაში, რით დაგვეწყო საქმე, რა ფორმებით, რა მეთოდებით შეიძლებოდა თანამედროვე ეტაპზე ქალთა შორის მუშაობის აღდგენა და წარმართვა.

იყო შემთხვევები, როცა საწარმოში არ ზრუნავდნენ ქალისთვის მსუბუქი სამუშაო შეერჩიათ, ირღვეოდა შრომის კანონმდებლობა, მივიწყებული იყო დადგენილი შეღავათები, ზოგ რაიონში შეიმჩნეოდა ძველი ადათ-წესების აღდგენა, რაც წარსულში დაშვებული შეცდომების შედეგიც იყო. როგორც ჩანს, თავის დროზე ჩვენც, ქალთა შორის მუშაობის განყოფილებების ყოფილმა მუშაკებმაც მოვისუსტეთ მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პროფკავშირებთან მშრომელ ქალთა შორის მუშაობის საზოგადოებრივი კომისიების შექმნის შესახებ, ჩვენს რესპუბლიკაშიც ჰპოვა გამოძახილი. პროფსაბჭოსთან 1963 წელს შეიქმნა ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური კომისია, რომელსაც პასუხისმგებელი მუშაკი ქალები ჩაუდგნენ სათავეში. ამან საშუალება მოგვცა ვეტერან ქალებს ჩავბმულიყავით ქალთა შორის მუშაობაში და ჩამოვაყალიბეთ ვეტერან ქალთა სექცია 15 ქალის შემადგენლობით.

ამ სექციის მუშაობაში თავიდანვე მონაწილეობდნენ ძველი პარტიული მუშაკები: ნატალია ჯიბუტი, ეკატერინე ცინცაძე, თამარ დოლიძე, ეკატერინე არუთინოვა, მარგალიტა იაროვა, ვალია ჯიქია, ევა ბრეგვაძე, ალექსანდრა შულგინა, ელენე მელაძე, სუსანა ბერიძე, პატულია ხარებავა, ირინა ამატუნი, რაისა პლიევა, თამარ ჭყონია, ნინო თოიძე, ნინო მეფარიშვილი, ლიდა ჯალაღანია, ფენია გეგეშიძე, ლიზა ჯორჯაძე, თამარ შერმადინი, ნინო სადირაშვილი და სხვები.

თუმცა ამათგან ზოგიერთი დღეს აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მათი სახელები მაინც გვინდა მოვიხსენიოთ.

ვეტერანთა სექციამ პირველყოვლისა რევოლუციის ვეტერანი ქალები მოიკითხა. შეისწავლა მათი საყოფაცხოვრებო პირობები, ბევრს აღმოუჩინა დახმარება საბინაო პირობების გაუმჯობესებაში, საპენსიო საკითხის სწორად მოგვარებაში.

სექციის წევრებმა თანდათანობით გაშალეს მუშაობა. დღეს ისინი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ: აწყობენ მასობრივ შაბათობებს, მაგალითად, 1973 წელს ელმავალმშენებელთა დასახლებაში მოეწყო შაბათობა, იმ ტერიტორიის გასამწვანებლად, სადაც გათვალისწინებულია პენსიონერებისათვის საცხოვრებელი სახლის აშენება.

ვეტერანები ეწვივნენ საავიაციო ქარხანას და 80-მდე ვეტერანმა თავისი წვლილი შეიტანა ქარხნის წინ მდებარე სკვერის კეთილმოწყობაში.

ქალთა წლის დაწყებისთანავე სექციის წევრებმა შეიმუშავეს გეგმა, თუ როგორ დახმარებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელ ქალებს შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

ვეტერანთა სექციამ შეისწავლა რამოდენიმე ქარხანა-ფაბრიკის მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. გამოირ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა




# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

## ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, რომელიც შეიკრიბა სკკპ XXV ყრილობისათვის საყოველთაო სახალხო მზადების დღეებში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ჩვენი პარტიის საბრძოლო შტაბის ნაცად ხელმძღვანელს, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, მშრომელ ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს!

თავის XXV ყრილობას საქართველოს კომპარტია შეხვდა განსაკუთრებით მონოლითური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასებთან მტკიცე ერთიანობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სამდივნოს მუდმივი მხარდაჭერა, პირადად თქვენი ძვირფასი რჩევა და მითითებები წარმართავდა საქართველოს კომპარტიას იმისათვის, რომ გადაჭრით გაეუმჯობესებინა სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, გაეძლიერებინა მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. რესპუბლიკაში გაეჯანსაღებინა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

და დღეს ჩვენი ყრილობა კმაყოფილებით მოახსენებს ცენტრალურ კომიტეტს, მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ საქართველოს სსრ მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, უზრუნველყვეს შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდა, ბევრი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის ამოცანათა გადაწყვეტისათვის, გამდიდრდა რესპუბლიკის სულიერი ცხოვრება.

პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული წარმატებები და ახალი ჰორიზონტები. რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა პროექტში, საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, უღვიძებს არნახულ ენთუზიაზმსა და უძლეველ ენერგიას, უდიდეს სურვილს, რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ნაკლოვანებები და ხარვეზები, უფრო სრულად გამოავლინონ გამოუყენებელი რეზერვები, მიაღწიონ ახალ აღმავლობას რესპუბლიკის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

სკკპ XXV ყრილობის წინ, რომლითაც დაიწყება კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით აღუთქვამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს ლენინის მითითებებით, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიის ერთიანობას, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებს კომუნისტური მშენებლობის ახალი, გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს კომუნისტთა ლენინურ პარტიას — თანამოაზრეთა მებრძოლ კავშირს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

**საქართველოს კომუნისტური პარტიის
XXV ყრილობა**




# ყრილობა, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს

ლადე გრიგოლ ბერეკაშვილი, მრთველი ვერა ქემაშვილი, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის სახელოვანი წარმომადგენლები გიორგი კურტანიძე, ბორის ვაშაკიძე, სვეტლანა ნიკოლაიშვილი, კუზმა ლიუბავსკი, ზურაბ სარალიძე, ნიკოლოზ როდომაჩენკო, ვლადიმერ ასათიანი და კიდევ ბევრი სხვა, — აი, ჩვენი დღეების ზოგიერთი გმირის სახელი. ყრილობაზე ვერა ქემაშვილზე ითქვა: 27 წელია ეს ამაგდარი ქალი მუშაობს მრთველად, ამ ხნის მანძილზე დაამზადა 4 ათასი ტონა ნართი. ეს სავსებით საკმარისია რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევრის მოსართავად. ვინ არ იამაყებდა ამით?

ყრილობაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ყველაფერი, რაც გაკეთდა და რისი გაკეთებაც დასახულია, კეთდება ყველაზე უმაღლესი ღირებულების — მშრომელი ადამიანის ინტერესებისათვის, მისი საჭიროებისათვის. ჩვენი პარტიის უმაღლესი მიზანი და უმაღლესი ღირსება — ადამიანია. სწორედ ამიტომ, საბჭოთა ადამიანის პრობლემა, მისი საქმეები და საზრუნავი, მისი ფიქრები და განცდები, მისი საჭიროებები და მოთხოვნილებები — სწორედ ეს იყო მთავარი, განსაკუთრებული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობაში, მისი ლეიტმოტივი.

მაგრამ XXV ყრილობის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან შეაჯამა გაწეული მუშაობა, არამედ იმაში, რომ მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეათე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების მიხედვით დასახა საბჭოთა საქართველოს მძლავრი სოციალ-ეკონომიური და კულტურული აყვავების პროგრამა. ეს რესპუბლიკის მშრომელთა საბრძოლო პროგრამაა და მისი განხორციელების საქმეში თითოეული მათგანის პირადი მაქსიმალური წვლილის შეტანა უთუოდ გახდება მათი ღირსების, ავტორიტეტის, პრესტიჟის საქმე.

ჯერ ერთი, როცა ვლპარაკობთ მეცხრე ხუთწლედში მიღწეულ მიჯნებზე, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უკვე ყველაფერი მოგვარდა და მომავალში ველიდოთ შეღავათებს შრომასა და საქმიანობაში. საკითხი ეხება იმას, რომ გასულ სამ წელიწადში შესაძლებელი გახდა მეცხრე ხუთწლედის მაჩვენებლებით არსებული ჩამორჩენის დაძლევა. ჩამორჩენა, შეცდომები როგორც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეურნეობის მართვის პროცესებში საერთოდ, დაძლეულია მხოლოდ ნაწილობრივ. ახლა საკითხი დგას ასე: დაჩქარებული ტემპით გაძლიერდეს რესპუბლიკის სამრეწველო განვითარება, სოფლის მეურნეობა მთლიანად გადაიქცეს მაღალგანვითარებულ, მოწინავე დარგად. ამასთან რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური გაჯანსაღების პროცესი ბოლომდე იქნება მიყვანილი, და ეს კვლავ რჩება განსაკუთრებულ ამოცანად — მას უნდა დაუქვემდებარდეს მთელი იდეოლოგიური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

გადასაწყვეტია მრავალი რთული და მასშტაბური პრობლემა. აი ზოგიერთი მათგანი: რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით არ ვითარდება მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას; საქართველოში მუშა 20-30 პროცენტით ნაკლებს აწარმოებს, ვიდრე საშუალოდ მთელ კავშირში. ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წონა (59,6 პროცენტი) უჭირავს მსუბუქ და კვების მრეწველობას; ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის დონე საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო საკავშიროს; ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია მშენებლობის ტემპები და საერთო კულტურა, არა გვაქვს ჯეროვნად განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია; ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში საშუალოდ ყოველ 10 ათას მცხოვრებზე ყოველწლიურად შენდებოდა 91 ბინა, საქართველოში კი — 58. ანდა, ავიღოთ სოფლის მეურნეობა: ვინ დაიჯერებს, მაგალითად, რომ საქართველო ყურძნის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობით სსრ კავშირში უკანასკნელის წინა, მე-14, ხოლო ბოსტნეულის წარმოებით ბოლო ადგილზეა? საქართველოში, სადაც მეხილეობის განვითარების დიდი ტრადიცია და კოლოსალური შესაძლებლობანია, ერთ ჰექტარზე 60-70 ცენტნერი ხილის მიღება რეკორდულად ითვლება, სხვა რესპუბლიკებში — კი 300-400 ცენტნერი. მეტიც, თვალის ახვევის, უპასუხისმგებლობის ტენდენცია იქამდე მივიდა, რომ ახლა ზუსტად არც კი ვიცით რამდენი ჰექტარი ვენახი გვაქვს და რამდენი ბაღი... ამასთან ვისახავთ მიზანს X ხუთწლედის ბოლოსათვის ყურძნის მოსავალი გავადიდოთ ორჯერ, რვაასი ათას ტონამდე. 15-20 წლის წინ სარაიონთაშორისო და აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა შექმნა ყველგან დაიწყო და ყველგან დიდი შედეგები გამოიღო. ჩვენ კი არსებითად ახლა, საქართველოს კომპარტიის XVIII პლენუმის შემდეგ, გვიხდება ამ საქმის დაწყება. ამიტომ იყო, რომ ამხანაგმა ე. შევარდნაძემ ხაზგასმით თქვა ყრილობაზე: „მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის პრობლემები უნდა გახდეს ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის ძირითადი საზრუნავი, რადგან მათზე არის დამოკიდებული გადამწყვეტად ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, აგრეთვე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გადიდება".

მომავალი ხუთწლედი ამ პრობლემათა გადაწყვეტაში მყარ საფუძველს შექმნის. რა თქმა უნდა, ერთბაშად, თუნდაც რამდენიმე წლის განმავლობაში, შეუძლებელია ჩამორჩენაც დაძლიო და პირველიც გახდე, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს — ასეთია ჩვენი პარტიის ნება. X ხუთწლედის მიზანდასახულებათა გადაწყვეტილებით საქართველო, ეს ითქმება ხატოვნად, მაგრამ არა გადაჭარბებით — ახალ მწვერვალებს დაიპყრობს. რესპუბლიკამ ხუთწლედში უნდა აწარმოოს 9139 მილიონი მანეთის პროდუქცია, ე. ი. 1769 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

ეს დიდი მიჯნებია. ამიტომ ყრილობის მიერ პარტიული ორგანიზაციების, ხელმძღვანელების, პედაგოგების, მეცნიერების, იდეოლოგიური ინსტიტუტების წინაშე დასახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომ ადამიანებს ჩავუნერგოთ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის, პასუხისმგებლობის, დისციპლინისა და თვითდისციპლინის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მოქალაქეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის გრძნობა. „ჩვენ კომუნისტები, თქვა ყრილობაზე გორელმა მქსოველმა ქალმა თ. დალელაშვილმა, — მქსოველები, მრთველები, მბეჭდავები, ქარგლები და ყველა მშრომელი ვსაზღვრავთ საკუთარ, პირად წვლილს ახალ ხუთწლედში. სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა ბრიგადა და მუშა-მოსამსახურე ჩაება".

ამოცანების მასშტაბურობა, გრანდიოზულობა და სიძნელეები მოითხოვს, ასეთი იყოს თითოეული მშრომელის პირადი თაოსნობა, გამოხმაურება პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებზე. სიამოვნებას გვანიჭებს აღვნიშნოთ, რომ ამ საქმის ავანგარდში ქალები გამოდიან და რომ ისინი მამაკაცებს ტოლს არ უდებენ.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ აღინიშნოს საყოველთაო პატივისცემა და ყურადღება, რომლითაც ქალები იყვნენ გარემოსილნი ყრილობაზე. „დელეგატ ქალთა მგზნებარე, პრინციპული, დამაჯერებელი გამოსვლები" — ითქვა ყრილობაზე. მართლაც, ასეთი იყო დელეგატ ქალთა გამოსვლები, რიგითი მუშისა, მინისტრისა თუ რაიკომის პირველი მდივნისა.

ახალი ხუთწლედი, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა ნათელ პერსპექტივებს, ახალ საგმირო ჰორიზონტებს უსახავს რესპუბლიკის მშრომელ ქალებს. ამ ამოცანებმა უნდა გაიტაცოს, აღაფრთოვანოს ისინი. მათ იხმობს დაზგები თუ ბაღებ-მინდვრები, მომსახურეობის სფერო თუ პარტიული და სამეურნეო მუშაობის მაღალი პოსტები. ამასთან ისახება დიდი სოციალური მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული საანგარიშო მოხსენებაში: „მაქსიმალურად უნდა შევამსუბუქოთ ქალის საოჯახო შრომა, უწინარეს ყოვლისა, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების განვითარებას, ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის, დაფასოებული და შეფუთული პროდუქციის, დიეტური და საბავშვო კვების პროდუქტების წარმოებისა და მოსახლეობისათვის მიყიდვის გადიდების გზით. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს შევამციროთ დროის დანახარჯები საოჯახო მეურნეობის გასაძღოლად, უფრო ფართოდ ჩავაბათ ქალები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

ომარ ფხაკაძე

კვა, რომ ბევრი ქალი, რომელიც თბილისშ. ახალგაზრდა ჩამოვიდა და საწარმოში დაიწყო მუშაობა, ისე დაბერდა, რომ დღესაც არა აქვს ბინა მიღებული, ცხოვრობს ნათესავთან (თუ ასეთი ჰყავს), ან ქირას იხდის თავისი ხელფასიდან. ეს უბრალო საქმე როდია, ეს დამაფიქრებელი ფაქტია, რომელსაც გადაუდებელი ყურადღება სჭირდება.

სექციის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორია პენსიაში გასულ შრომის ვეტერანთა დამოკიდებულება ახალგაზრდა მუშა ქალებთან: ხდება თუ არა მათი შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, როგორ არის დანერგილი გამოცდილების გაზიარების ახალი ფორმა — დამრიგებლობა.

ვეტერანებმა გამარჯვების პარკში მოაწყვეს შინმოუსვლელ თბილისელ გმირთა სახელობის კუთხე, სადაც დარგეს 13 ვერხვი დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად. აქ იმართება პიონერული შეკრებები. ეს ვერხვები ატარებენ შ. გამცემლიძის, გ. ბილანიშვილის, ა. ტერელაძის, ვ. ლეჟავას. ლ. მებაღიშვილის, დ. მერკვილაძის, ვ. ჩიქოვანის, კ. ლესელიძის, ო. ჩეჩელაშვილის, ვ. კანკავას, გ. ბახტაძის, ს. გრიგორიანის, ს. ოგანოვის სახელებს. აქ ყოველ 9 მაისს იწვევენ გმირების ოჯახის წევრებს. ყოველი ვერხვის ძირში გმირის სურათია. გამოდიან მოგონებებით.

შარშან, 9 მაისს ასეთმა შეკრებამ ჩაის სახლში გადაინაცვლა, სადაც დიდხანს გაგრძელდა საუბარი გმირებზე.

ვეტერანები აწყობენ ექსკურსიებს: ეწვივნენ ვურჯაანს, რომ ენახათ პენსიონერ ქალთა სახლის მშენებლობა და შეხვედროდნენ ფერეიდნელ ქართველებს, მოინახულეს შორეული ქალაქებიც: ლენინგრადი, ბრიანსკი, ნოვგოროდი.

ქალთა საბჭოებს და მის სექციებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. დიასახლის ქალთა შორის მუშაობა არ არის ფორმირებული, მათი ჩაბმა მუშაობაში კი აუცილებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული დაფიქრება მართებთ რაიონის ქალთა საბჭოებს.

წარმოება-დაწესებულებებში ყველგან არ დამკვიდრებულა პენსიაზე გამსვლელების საზეიმო გაცილება, ზოგან ჭიანურდება პენსიის ოდენობის სწორად დადგენა.

საწარმოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა არ უნდა დაივიწყონ მათი წარმოების ვეტერანები. სასურველია დროდადრო მოიწვიონ, მოაწყონ მათთან შეხვედრა. ყური დაუგდონ მათ რჩევა-დარიგებას, საჭიროების დროს კიდეც დაეხმარონ მათ, განსაკუთრებით მარტოხელა, უმწეო მოხუცებს, დააწესონ მათზე მეზობელთა და კომკავშირელთა შეფობა, მოაწყონ ისინი მოხუცებულთა სახლებში.

მოსაგვარებელი ბევრია, ენერგია და საქმის სიყვარული კი საკმარისი აქვთ ძველი გვარდიის წევრებს, რომელთა მიზანი იყო და კვლავაც არის ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

**დოდო ზურაბიშვილი**



## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობის შესახვედრად

# ხეთელები

„უზრუნველვყოთ ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება და მოსავლიანობის ამაღლება, მოვსპოთ მრავალწლოვან ნარგავთა სიმეჩხრე“.

(სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976—1980 წლებში).

რეპორტაჟი

იმ დღეს დიდებულ ხასიათზე მიდიოდა შინ ვალია ლატარია. უხაროდა, რომ მისმა ბრიგადამ, მეურნეობის მთელ კოლექტივთან ერთად ზამთრის სამუშაოები ვადაზე ადრე შეასრულა.

— თუ ამინდმა დაგვაცალა, ტორფისა და ნაკელის შეტანასაც მოვასწრებთ, — გაიფიქრა ვალიამ და ცას ახედა. ცუდად ენიშნა ცის კიდეზე ბაწარივით კაჭიმული შავი ღრუბელი. თუმცა ვარსკვლავების ქარავანი დარზე მეტყველებდა, მაგრამ ძნელია ენდო კოლხეთის ფხუკიან ზამთარს. თვალის დახამხამებაში შეიძლება ამინდი შეტრიალდეს და ციდან მერეხი წამოვიდეს.

ასე მოხდა იმ ღამესაც:

— ბრიგადირო! ვო, ბრიგადირო! — ვილაცის გამყინავი ხმა შემოიჭრა ფანჯარაში. ნამძინარევი ქალი დაფეთებული ეცა კარს. მის წინ ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი ბონდო ბუკია აღიმართა.

— ტელევიზიით გვამცნეს, რომ ამაღამ დიდთოვლობა და სამი გრადუსი ყინვა იქნება, — სულმოუთქმელად თქვა ბონდომ

და გატრიალდა. ვალია უკან დაედევნა, ბრიგადის წევრებს ჩამოურბინა.

— დიდთოვლობაა, ამხანაგებო! დიდთოვლობაა! — განუწყვეტლივ აცხადებდა რადიო.

მეურნეობის ეზოებიდან თუ საცხოვრებელი ბინებიდან ბამბუკის ჯოხებით, ძველი საბურავებით დატვირთული ადამიანები გარბოდნენ პლანტაციის გადასარჩენად.

სულ მალე, ჯგერეთის მთის ფერდობზე შავი ბოლი ბოლქვებად აიჭრა ცაში.

თოვდა გაუთავებლად. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები მთელი ღამე ებრძოდნენ თოვლს და ყინვას. დილით, როცა თოვა შეწყდა და ცხრათვალა მზე ამოგორდა, მშრომელებმა ერთმანეთს მიულოცეს გამარჯვება.

ამ პლანტაციაში ბევრი თეთრად გათენებული ღამე ახსოვს ვალიას. იგი კომკავშირის საგზურით მოვიდა მაშინ, როცა მეურნეობა ფეხს იდგამდა. მასთან ერთად წალდით, ნაჯახით ხელში მოვიდნენ კოლხი ჭაბუკები და ქალიშვილები. ურთის მთაზე გაჩეხეს მაგარი ჯიშის ხეები. ბუნებრივად ამოსულ დაფნას მოაცილეს ეკალ-ბარდები.

არავინ იცის, როგორ გაჩნდა ურთის მთაზე ეს დიდებული მცენარე. ლეგენდები კი ბევრია. ხობელი უხუცესების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, ბერძნებმა შემოიტანესო თესლი, მეორენი კი ირწმუნებიან, ოდესღაც ეს ადგილები ზღვით იყო დაფარული, დროთა სვლის შემდეგ ზღვის ფსკერიდან მთები ამოიზიდა, ზღვა უკუიქცა, მთებზე კი დაფნის ნარგავები თავისთავად გაჩნდაო.

ასე იყო თუ ისე, ბუნებამ ხეთის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს 155 ჰექტარზე გადაჭიმული დაფნის ხეები აჩუქა. მერე ნელ-ნელა 335 ჰექტარი მიწა ნარინჯოვანმა ციტრუსებმა, ხეხილმა, ბოსტანმა და პარკ-ხეივანმა დაიჭირა. მეურნეობაში ორი მიკრო-რაიონი და 8 ბრიგადა შეიქმნა. ყველა მათგანი, კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელს ატარებს.

მეურნეობის დირექტორს ნოდარ კარტოზიას ან მთავარ აგრონომს შალვა კანკიას რომ ჰკითხოთ ვინ არის მოწინავე მუშაო, ისინი გულმართლად გიპასუხებენ:

— ჩვენთან ყველა მუშა მოწინავეა, მაგრამ მჯობნის მჯობნს მაინც რა დალევს, ერთმანეთს პირველობას ეცილებიან მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი, ხუთგზის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, წინა წლების დროშის ორდენოსანი ვალია ლატარია, საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებული, პარტბიუროს მდივანი, მეხუთე ბრიგადის ბრიგადირი ბონდო ბუკია, გული ბაჩილავა, დავით გვაზავა, რომლებიც სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთა სამკერდე ნიშანს ფლობენ. ლამარა ბუკია, ანტონინა კვირაია, რაისა კრავჩენკო, ნანა ნარსია, იზოლდა ციკორია, რაისა ბერიშვილი და სხვები.

ამ შესანიშნავი ადამიანების თავდადებულმა შრომამ, ბევრი სიკეთე მოუტანა ხეთის დაფნისა და ციტრუსების მეურნეობას, რომელსაც საუკეთესო განაშენიანებისთვის საკავშირო კონკურსში 1971 წ. მიღებული აქვს დიდი ოქროს მედალი. ვინ ჩამოთვლის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებს და სამახსოვრო დროშებს!

შრომის ნაყოფიერების ყოველწლიურმა ზრდამ, მეურნეობა თითქმის ქალაქს გაუთანატოლა: ასფალტირებული გზები, ორსართულიანი გაზიფიცირებული საცხოვრებელი სახლები, ბინებში ანთებული ცისფერი ეკრანები, ბაგა-ბაღი, პურის საცხობი, აბანო, ლიმონათის ჩამომსხმელი საამქრო, ფოსტა-ტელეგრაფი, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო სამრეცხაო საამქროებით. შერეული სამრეწველო მაღაზია, 200 ადგილიანი ლამაზი კლუბი შესანიშნავი პარკით, ბიბლიოთეკა, სადაც 4.000 ცალი სხვადასხვა დასახელების წიგნია, საფერშლო პუნქტი, ოთხწლიანი სკოლა, სპორტული მოედანი და მრავალი სხვა ის დიდი სიკეთე, რომლითაც სარგებლობს ყველა ხეთელი მეურნე. სახელი გაითქვა მეურნეობის მომღერალთა გუნდმა, რომელსაც ვაჟა აბაკელია ხელმძღვანელობს.

მეციტრუსეებმა დამხმარე დარგებიდან განავითარეს მსხვილფეხა მესაქონლეობა და მებოცვრეობა, ერთ ბუნებრივ და ორ ხელოვნურ ტბაში მოაშრავლეს თეთრი ამური და სქელშუბლა თევზები.

დიახ, აქაურ მშრომელებს თავიანთი შრომის მონაგარი იმდენი აქვთ, რომ შეუძლიათ ბედნიერად იცხოვრონ, მაგრამ ხეთის საბჭოთა მეურნეობის შრომისმოყვარე ადამიანები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან, მითუმეტეს, ბოლო წლებში, ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარმა დიდმა ძვრებმა და მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტმა წელმა, მთელ რესპუბლიკასთან ერთად იგი ახალი პრობლემების წინაშე დააყენა.

დიდი ხანი არ არის, რაც ნოდარ კარტოზიამ ჩაიბარა მეურნეობა. ძველმა კომკავშირელმა და გამოცდილმა პარტიულმა მუშაკმა, პირველ რიგში მეურნეობის მუშების საბინაო პირობები შეამოწმა. ზოგ შენობას სახურავი გამოუცვალა, ზოგის საცხოვრებელი ბინა გაარემონტა, მუშათა სასადილო კეთილმოაწყო, მებოცვრეობის ფერმას რეალიზაცია გაუკეთა — გადაწყვიტა ყაბარდო ბალყარეთიდან, ახალი საუკეთესო ჯიშების შემოყვანა.

პარტბიუროს მდივანი ბონდო ბუკია დირექტორთან ერთად ყოველ მეორე საღამოს იწვევს თათბირს. როგორც წესი მას ყველა მუშა-მოსამსახურე ესწრება, სახავენ გეგმებს, მსჯელობენ, კამათობენ ამა თუ იმ საკითხზე. თუ რომელიმე ბრიგადა ჩამორჩა, მეურნეობის ყველა მუშა ვალდებულად თვლის თავს ჩამორჩენილს დაეხმაროს. ამ ერთიან, ძმურ ოჯახში ყველა ერთისათვის იღწვის და ერთი — ყველასათვის.

**„ჩვენთვის დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველა ზეგეგმით ას, ათას მანეთს, რადგან სწორედ ის მანეთები ჰქმნიან ზეგეგმით მილიონებს. ყოველივე ამას ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო ეკონომიური, არა მარტო სამეურნეო, არამედ ღრმა პოლიტიკური თვალსაზრისითაც", — თქვა გასული წლის აპრილის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ.**

ეს ლოზუნგი აიტაცეს ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა და გადაწყვიტეს ზეგეგმიური 3.500 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოსთვის მიეყიდათ ზეგეგმიური 3.600 ცენტნერი მანდარინი, 400 ცენტნერი ფორთოხლის ნაცვლად — 500 ცენტნერი ფორთოხალი — 6.000 ცალი ლიმონის ნაცვლად 12.000 ცალი ლიმონი, 80 ტონა დაფნა.

უხვი მოსავლისათვის მეურნეობაში მასშტაბურად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მეოთხე ბრიგადამ, მეხუთე ბრიგადა გამოიწვია სოც-შეჯიბრებაში, მეხუთემ კი — მერვე ბრიგადა.

— მიფრთხილდი, უსათუოდ გაჯობებ, აქეზებს ვალია ბონდოს.

— თუ შენს პლანტაციაში საწოლი დადგი, შეიძლება მაჯობო, — იცინის ბონდო.

— ავაი! ბონდო, გეტყობა, მართლა შეგაშინა ვალიამ და სახლის გზა დაგავიწყდა, თუ ასე გააგრძელე, მალე, ალბათ, შვილები ვერ გიცნობენ და მამას მაგივრად ბიძიას დაგიძახებენ, — გაკენწლა ბონდო მერვე ბრიგადის ბრიგადირმა გვანჯი ბუკიამ.

შინ წასასვლელად, მართლა არავის ეცალა. დროულად გადაბარეს ნიადაგი, დროულად მიაწოდეს სასუქი, სეზონზე შვიდჯერ შეწამლეს ციტრუსი. მეურნეობამ საკუთარი სარწყავი სისტემაც შექმნა, რადგან ფერდობზე შეფენილ ციტრუსებს ყველაზე უფრო უწყლობა უჭირს. ესეც არ იყოს, ვეტერანი მუშების: დავით გვაზავას, გული ბაჩილავას, გვანჯი ბუკიას, ვალია ლატარიას და სხვების პრაქტიკულმა გამოცდილებამ გაამართლა იმედი: მორწყვის შემდეგ ციტრუსების მოსავალი გაცილებით გაიზარდა.

მეურნეობაში დანერგილია ციტრუსების მექანიზებული დახარისხება.

— როცა მზის გულზე, ჯგერეთის მთის ფერდობზე ოქროსფრად აელვარებულ ტოტებდახუნძლულ ციტრუსებს ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვარსკვლავეთი ძირს ჩამოსულა, — ამბობს ბონდო ბუკია და თვალებგაბრწყინებული შესცქერის თავისი მარჯვენის ნაამაგარს.

და დადგა ოქროს რთველი! მექანიზირებულმა დახარისხებამ ბევრად შეამსუბუქა შრომა. ისეთი მოსავალი მოზღვავდა, რომ მეურნეობის ძირითად მუშებს ყოველდღიურად 400—500 დამხმარე მუშა ედგა მხარ-



მონდო ბუკია და შალვა კანკია ამოწმებენ ციტრუსების ხარისხს



მუშათა საცხოვრებელი სახლები

ში. ხეთის დაფნისა და ციტრუსების მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება არამც თუ გაანაღდეს, გადააჭარბეს კიდეც. სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.800 ცენტნერის ნაცვლად 4.048 ცენტნერი მანდარინი. 550 ცენტნერი ფორთოხლის მაგივრად 570 ცენტნერი ფორთოხალი — 12.000 ცალი ლიმონის ნაცვლად 12.200 ცალი ლიმონი და 80 ტონა დაფნა.

მამულიშვილებმა მეცხრე ხუთწლედის ბოლო წელი დიდი გამარჯვებით დაავგვირგვინეს.

საქართველოს მშრომელებთან ერთად, ხეთის დაფნისა და ციტრუსების მეურნეობის მშრომელები ღირსეულად ხვდებიან პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

ოლია რევია



# მონოლოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

წინათ, გამიგონია, ხუმრობით წაიმღერებდნენ ხოლმე — ჩემო კარგო ბებია, როდის გათხოვდებიაო... მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩემმა ნასვამმა შვილიშვილმა, ვითომ ხუმრობით რომ ჩაიღიღინა... ჩემო კარგო ბებია, როდის წასვენდებიაო...

— რატომ, ბებია, რატომ გეჩქარება ჩემი გასვენება მეთქი? — ვკითხე.

— იმიტომ, რომ შენი კრიჟანგი შვილი მანქანას არ ყიდულობს ჩემთვის. ვითომ, ფული არა მაქვსო... განა არ ვიცი? მამიდაჩემს მიაბარა... იმან კიდევ სადღაც ჩამარხა... მე მითხრეს, დამზადების კანტორის გამგედ რომ იყო მამაშენი, დიდ ფულებს ატრიალებდაო.

— ვინ თქვა, ბებია?

— მაგი რა შენი საქმეა, მითხრეს და მორჩა!

— კაი, ბებია, ამას ნუ მეტყვი, მაგრამ ის მაინც მითხარი, მე რა შუაში ვარ მერე!

— ხარ შუაში, მაგრამ ამას ხომ არ გეტყვი...

— არ მეტყვი ხომ, ბებია?

— არა

— აბა მე გეტყვი: დიდი ქელეხი გინდათ მოაწყოთ, აგერ, წინკარში დააჯენთ ვინმეს კასირად და ფულებს მოხვეტავთ... მერე ბათლომეს ბიჭივით ჩემს ქელეხზე შემოსული ფულით მანქანა გინდა იყიდო!

— შენც გაიგე, ბებია?!

— გავიგე რა! არც თვალს მაკლია ჯერ და არც ყურს... გადაგვარდით, გაფუჭდით... მე ობლად გამოვზარდე მამაშენი, ქორწილიც გადავუხადე, მაგრამ ჩემი ნაშრომით, ნაჯაფარით. მან კი ქალი გაათხოვა და ფული გააკეთა... მამა დაასაფლავა და —ფული გააკეთა... ბაბუაშენის სულის მოსახსენიებელი მე მოვახერხე პატარა რაღაცა, თვითონ არც მოგვკარებია, იმიტომ, რომ ფულს არ ელოდა... ახლა შენ მღერიხარ, „ჩემო კარგო ბებია, როდის გასვენდებიაო"... არ გავსვენდები, ბებია, თქვენს ჯინაზე, ერთი ათი წელიწადი მაინც არ მოვკვდები...

თფუი, თქვენი სინდის-ნამუსი! ჯერ იყო და მამაშენის გაზრდას შევალიე ჩემი ახალგაზრდობა, მერე შენი დაიკოსას, შენ, აგერ ოცი წლის ყაძახი ხარ უკვე. ჰოდა, მე გითენებდი ღამეებს, დედაშენი კი არა! ფული და ფული! ოღონდ ფული იყოს და როგორ და საიდან! იმას აღარ კითხულობთ.

ვენაცვალე ღვთის სამართალს! ბათლომეს ბიჭმა ბებიამისის ქელეხზე შემოსული ფულით ნაყიდი მანქანა ავარიაში ხომ გააბრტყელა ლავაშივით. კიდევ კარგი, თვითონაც კინჩხი არ მოიტეხა. აბა, წუწკებს და ნამუსგარეცხილებს, როდის იყო, რამე შერჩენიათ?!

ბენო კონჯარია

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობის შესახვედრად

# ახალი გზა სვანეთისაკენ

### რეპორტაჟი ჯვარ-მესტიის გზის მშენებლობიდან

ჩვენმა „ვოლგამ“ მთავარი გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და სოფელ ჯვარისაკენ აიღო გეზი.

ნაწვიმარზე საბურავებს შხუილი გაჰქონდათ. უკან რჩებოდნენ გადაყვითლებული ხეები, კოხტა გორაკები და ნაფუზვრები.

— ძალიან უცნაურად არის მოწყობილი ადამიანის ცხოვრება, — დაარღვია სიჩუმე მძღოლის გვერდით მჯდომმა, „საქჰიდროენერგომშენის“ საგზაო მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ჟორჟოლაძემ. — ორმოცდაშვიდი წლის წინათ მომიხდა პირველად აქეთ მგზავრობა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. ინჟინერი მიხეილ კარიაგინი მოვიდა ჩვენთან და ენგურზე ხიდის მშენებლობაში მონაწილეობა შემოგვთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. ზუგდიდში ეტლი დავიქირავეთ და ჯვარისაკენ გავემართეთ. მაშინაც ასე ჟინჟღლავდა. ატალახებულ მიწაზე ცხენებს სიარული უჭირდათ. ხან სად ჩავეფალით, ხან სად. ერთი-ორჯერ ლამის გადავყირავდით.

ზუგდიდიდან ჯვარამდე ასვლას ორი დღე მოვანდომეთ. მაშინა ვთქვი, როცა ინჟინერი გავხდები, ამ გზას აუცილებლად გავაკეთებმეთქი. კურიოზად მოგეჩვენებათ, მაგრამ მართლაც მე მომიხდა ამ გზის გაყვანა და მოასფალტება.

ვლადიმერი გატაცებით გვიამბობდა ენგურჰესის აგებასთან დაკავშირებულ მრავალგანშტოებიან გზათა მშენებლობაზე, რომლის საერთო სიგრძე 365 კილომეტრია.

ამასობაში ჩვენი „ვოლგა“ ჯვარში შესრიალდა. ორი დღის სავალი სულ რაღაც ოც წუთში დავფარეთ.

— აი, ის დაკიდული ხიდიც, რომლის ასაგებადაც ჩამოვედი ცხრამეტი წლის ჭაბუკი. მის გვერდით კი, ახალი ორმალიანი ხიდი რომ მოჩანს, ახლა ავაშენეთ.

კავკასიონის კლდოვან თაღებზე ახლაც შეამჩნევს კაცი რუხი ფერის ძაფებივით დაყრილ ბილიკებს. ამ ვიწრო, საცალფეხო ბილიკებით იკვლევდნენ სვანები გზას ბარისაკენ. ვინ იცის, რამდენს გამტყუნებია ბედი ამ გზაზე. ზოგის ცხენს ფეხი წაუბორძიკებია და მხედრიანად ხევში ჩაჩეხილა, ზოგს ზვავი წამოსწევია და დაუტანებია.

უგზოობით განაწამები სვანები, სამყაროს მოწყვეტილნი, წლობით იყვნენ ჩაკეტილი მიუვალ სოფლებში.

მშენებლობის მეთვალყურე ხაიშის უბანზე, 70 წლის ვიცბი ქკადუა გვიამბობს:

— ერთხელ მამამ მარილის საყიდლად ქალაქს წაგვიყვანა. შევკაზმეთ ცხენი, გადავკიდეთ საგზალი და გზას გავუდექით. ჯერ ინგურის ნაპირს მივყევით, მერე დიდმა ლოდებმა გზა ჩაგვიხერგა, იძულებული გავხდით მთებზე გაკვალულ ბილიკებს შევყოლოდით. მთელი დღე ორი მთაც ვერ გადავიარეთ. ზუგდიდამდე კი, ვინ იცის, რამდენი მთა და კლდე-ღრე გვედო წინ.

— რას იტყვით ახალ გზაზე! — შევეკითხე ვიცბის.

ვიცბი იცინის, ხელებს შლის და ამბობს:

— ღმერთმა აღდეგრძელოს ეს მთავრობა! მაგენმა საქმე რომ გვიყვეს, სვან კაცს სიზმარშიც არ მოელანდებოდა! ამას წინათ, ავტომობილმა ერთ საათში ჩამაგრიალა ჯვარში.

ჩვენმა „ვოლგამ“ ლონე მოიკრიბა, ერთი ლაზათიანად შეისუნთქა და მდინარე მაგანის ხეობას შეეთამაშა.

მიჰქრის მანქანა 10 მეტრი სიგანის სარკესავით მოპრიალებულ, მოასფალტებულ ახალ გზაზე.

— ძველი გზა საითაა? — ვეკითხებით ჟორჟოლაძეს.

— ძველი გზა, რომელიც ფილიპე მახარაძის თაოსნობით 1928-30 წლებში გაკეთდა, დაბლა დარჩა, ენგურის ნაპირებს მისდევს, ჩვენ ორმოცდაათ მეტრამდე ავმაღლდით.

— ეს რისთვის?

— ენგურის ამბავი გაგებული გექნებათ! — იღიმება ჩვენი თანამგზავრი, უბნის უფროსი ყურვალი პაჭკორია. — როცა ადიდდებოდა, ქვეყანას წაიღებდა ხოლმე და გზას რაღა ხეირს დააყრიდა? აქ კი ენგურს ხელი ვეღარ მოუწვდება. ესეც არ იყოს, კაშხალის აგება რომ დასრულდება და ენგურს დააგუბებენ, ეს მიდამოები, ბუნებრივია წყლით დაიფარება. ჩვენი გზა კი ყოველგვარი მოულოდნელობისაგან დაზღვეული გახლავთ.

„ჩვენი გზაო“, — ვიგრძენი თუ რა სიამაყით იყო ნათქვამი ეს სიტყვები ახალგაზრდა ინჟინრის მიერ. სვანეთში ახალ გზას ზოგნი „ჟორჟოლაძის გზასაც“ უწოდებენ...

მიჰქრის მანქანა.

უკან რჩებიან ასაფრენად მოხატული მთები და ქროლვაში დალეული კილომეტრები.

ხაიშის მისადგომებთან, 31-ე კილომეტრზე, ასფალტი მოთავდა და მანქანის რახრახმაც ყველანი გამოგვაფხიზლა. ეს ის თერთმეტკილომეტრიანი გზაა, რომლის მოკირწყვლა-მოსწორება წელს მოესწრო, მოასფალტება კი ვერა.

სამაგიეროდ მშენებლებს ახალი უბანი დაემატათ ხაიში-დიზის მიმართულებით.

ახლა იქ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

* * *

ენგურის პირას, შემაღლებაზე რამდენიმე ვაგონი — სახლი დგას. აქ ხაიში-დიზის უბნის სამშენებლო „შტაბია“ მოთავსებული. შტაბის უფროსი, ესე იგი, უბნის უფროსი ოთარ შავლაყაძე სიხარულით გვეგებება და ყველას ხელს გვართმევს, შემდეგ გზის მშენებელ მუშებს გვაცნობს: უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი სიკო ცინდელიანი, ბულდოზერისტები — გოგი ვიბლიანი, ვლადიმერ ცუხიშვილი და ალექსანდრე შუმაკოვი, მბურღავი როინ ჩხვიმიანი. ბეტონის დამგებლები რომან ალავიძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე და ორდელი შელია.

თითოეული მათგანი თავგადადებული და საქმეზე გულით შეყვარებული მუშაა, სწამს იმ საშვილიშვილო საქმისა, რომელსაც ემსახურება.

თვითონ ოთარი კი სწორედ გმირი გმირთაგანი და კაცი კაცთაგანია. ლაპარაკში, მოძრაობაში და პურის ჭამის დროსაც ეტყობა, რომ იწვის და იხარშება დაკისრებული მოვალეობის ხორცშესასხმელად.

— ამ წელს დიზამდე აუცილებლად მივალთ, მოვკვდებით და მივალთ!..

ფეხით მივყვებით სამშენებლო უბანს. ამ გზაზე ოცი წლის წინათ მომიხდა ფეხით გავლა. მაშინ განზე თუ არ გადგებოდი, ავტო-

მობილი ისე გვერდს ვერ აგივლიდა. ახლა კი...

ვიღაცა შორიდან ყვირის და შეჩერებას გვთხოვს.

— აფეთქებენ! — ამბობს ოთარ შავლაყაძე.

ჩვენ ყველანი კლდის კიდურს ვეფარებით.

მალე გამაყრუებელი გრგვინვა დედამიწას აზანზარებს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ქვეყანა იქცევა.

მივდივართ აფეთქების ადგილას.

— გაიცანით ჩვენი ამფეთქებლები!

ორივე ახალგაზრდაა, ღიმილის ბიჭები — ომარ ხუციძე და ალიოშა ლიპარტელიანი.

— რა გინდათ, რას ერჩით ამ მთებს! — ვეხუმრებით ომარს.

— გზა უნდა გვიტიონ, სხვა გზა არა აქვთ! — ხუმრობითვე გვიპასუხებს ომარი.

ამფეთქებლებზე ამბობენ, უბნის წამყვანი ღერძი არისო.

ჭეშმარიტად! თუ არა ამონიტი, რა ხელი შეძლებდა იმ სალ კლდეთა მონგრევას!

* * *

მესტიისაკენ გზას „გაზიკით“ ვაგრძელებ. გავდივართ კლდოვან გვირაბებში. გზა გადათხრილია. ყველგან მშენებლები ტრიალებენ, ბულდოზერები ღმუიან, თვითმცლელები ჯაყჯაყებენ. „გაზიკი“ აივანზე მიგორავს. აივანი გზის ის ნაწილია, რომელიც ლითონის კარკასებს ეყრდნობა და ცაშია გამოკიდებული. მანქანიდან რომ გადაიხედავ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მართლაც სივრცეში მისცურავ.

მალე სოფელ დიზსაც გავცდით.

აქ თავდება „საქჰიდროენერგომშენის“ საგზაო მშენებლობის სამმართველოს სამუშაო ასპარეზი. აქედან მოყოლებული მესტიამდე 48 კილომეტრიანი სამანქანო გზის გაფართოება-კეთილმოწყობას საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტრო აწარმოებს.

გზის ამ მონაკვეთის გაფართოება თითქმის მოთავებულია, მაგრამ შისი მოშანდაგება ჯერ არ დაუწყიათ და „გაზიკს“ ძალიან უჭირს.

სოფელ ბეჩოსთან მშენებლები შეგროვილან და რაღაცაზე გაცხარებით საუბრობენ.

მანქანა გავაჩერეთ.

ცხადია, კამათი გზის მშენებლობას შეეხებოდა. აქ შევხვდით მესტიის პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ბორის სარალიძეს, მე-16 საგზაო სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსს ჯუმბერ ქურდიანს.

ბორის სარალიძემ გვითხრა:

— ჯვარი-მესტიის გზის მშენებლობა № 1 პრობლემაა სვანი ხალხის ცხოვრებაში. ეს არის ერთადერთი სასიცოცხლო არტერია, რომლითაც ბარს ვუკავშირდებით. მშენებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგი ტემპი აიღეს. როგორც ხედავთ, გზის გაფართოება თითქმის მოთავდა. აქ მინდა გიორგი რობიტაშვილის უბანი მოვიხსენიო, რომელმაც მართლაც კარგად იმუშავა. მაგრამ გზის სავალი ნაწილის მოკირწყვლა კი დააგვიანდათ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გზა უნდა დამთავრდეს 1977 წლის დასასრულისათვის. ამოცანა რეალურია. თუ მშენებლები თავს გამოიდებენ, არსებულ ტექნიკას მიზნობრივად გამოიყენებენ, შეიძლება საქმე 1977 წლის გაზაფხულზეც მოათავონ.

— რას გვეტყვით ადგილობრივ კომუნისტებზე?

— გზის მშენებლობაში დიდია ჩვენი რაიონის კომუნისტების მონაწილეობა. ყველა სოფლის საბჭოსთან შექმნილია სამშენებლო ბრიგადა, რომელიც ადგილობრივ პირობებში ცალკეულ პრობლემებს წყვეტს. ჩვენ შორეული მიზნებიც გვაქვს. როგორც კი ამ დიდ საქმეს დავაგვირგვინებთ, ძალები უშგულისაკენ უნდა გადავისროლოთ — მესტიიდან უშგულამდე 47-კილომეტრიანი გზა უნდა გავიყვანოთ.

რაიკომის მდივნის საუბარში იგრძნობა მტკიცე გადაწყვეტილება და ერთგვარი აზარტიც. გვჯერა, რომ ეს კაცი რასაც იტყვის, საქმედ აქცევს.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ წარმატება ვუსურვოთ მესტიელ მშენებლებს.

უშანგი ზარეკიძე



## წერილი რედაქციას

# საპატივცემულო ამხანაგებო!

ამ რამდენიმე ხნის წინ საზოგადოებაში დიდი გამოძახილი ჰპოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც მახინჯი ტრადიციების წინააღმდეგ იყო მიმართული. ადამიანთა დიდი უმრავლესობა ამ დადგენილების გამოქვეყნებას დიდი კმაყოფილებით შეხვდა. განა ადრე ჩვენ თვითონ ვერა ვგრძნობდით, რა უმსგავსოებამ მოიკიდა ჩვენს ყოფაში ფეხი ამ წრესგადასული ქორწილებისა თუ ქელეხების სახით? ამას კიდევ ზოგი სიახლეც დაემატა — აქ სახლის გადახურვაო, იქ — წვევამდელის გაცილებაო...

მაგრამ, წარმოიდგინეთ, აღმოჩნდნენ ადამიანები (ალბათ, თქვენც შეხვედრიხართ ზოგიერთ მათგანს), რომლებიც გაიძახიან: ეს, კაცო, ჩვენი ხალხის ტრადიცია არის და მაგის მოშლა როგორ იქნებაო. ზოგი იმასაც ამბობს „მახინჯი ტრადიცია" სად გაგონილაო. ამ ადამიანებს მე ვურჩევდი გადაშალონ ნებისმიერი განმარტებითი ლექსიკონი და ნახავენ, რომ სიტყვა „ტრადიცია" ყველგან ახსნილია, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები.

მაგრამ დრო გადის, ცხოვრება ახლდება და ზოგიერთი ეს ნორმები დრომოჭმული ხდება. ეს ერთი, მეორე კიდევ, ტრადიციად არ შეიძლება ჩაითვალოს სიმახინჯეები, რაც სულ ერთი ან ორი ათწლეულის მანძილზე დამკვიდრებულა, ჩვენდა სავალალოდ.

ამ საკითხზე უსასრულოდ შეიძლება წერა, მაგრამ მე მსურს თქვენს მკითხველებს მხოლოდ ერთი ამბავი მოვუთხრო, და მათ თვად განსაჯონ, გამოდგება თუ არა ეს მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ რა აბსურდამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, როცა ამ „ვითომ ტრადიციებს" მიჰყვება

ჩვენს მეზობლად (არც მისამართს ვასახელებ, არც გვარს — ამ ოჯახს თავისი უბედურებაც ეყოფა) ერთი ახალგაზრდა ქალი ცხოვრობს სამი შვილით. როცა ჩემმა მეზობლებმა ის რძლად მოიყვანეს, სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ის-ის იყო, ჩააბარებინა. ქმარიც სულ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ზედმიწევნით საქმიანი, ჭკვიანი, კარგი მეოჯახე, ნამდვილად გამორჩეული გარეგნობისა და ზნეობის.

ახალგაზრდა ოჯახში ზედიზედ სამი ვაჟი გაჩნდა. ასე რომ, იმათ დედის სწავლის გასაგრძელებლად აღარ ეცალა. მაგრამ დიასახლისი კი ჩინებული დადგა — ასეთი მოვლილი ქმარ-შვილით ახლო-მახლო ვერავინ დაიკვეხნიდა. დედამთილ-მამამთილს, რომ იტყვიან რძალზე მზე ამოსდიოდათ. ერთი სიტყვით, ბედნიერი ოჯახი იყო.

მაგრამ ერთ დღეს ამ ოჯახს საზარელი უბედურება დაატყდა — ვაჟი გარდაიცვალა. დაიღუპა ერთადერთი შვილი ხნიერი ცოლ-ქმრისა, სამაყო მამა სამი ვაჟიშვილისა...

ენით აუწერელი საცოდაობა დატრიალდა. დაკრძალეს დიდი გლოვით, გადაუხადეს უზარმაზარი ქელეხი. მერე საქმე საფლავის გაკეთებაზე მიდგა. არც ახალგაზრდა ქვრივსა და არც მის დედამთილ-მამამთილს გადადებული არაფერი აღმოაჩნდათ (ხომ მოგეხსენებათ, საფლავის გაკეთება რა ჯდება). საოჯახო თათბირზე დამგლოვიარებულ მეუღლეს უთქვამს — საფლავს სადაცოკოლი შემოვავლოთ და მარადმწვანე ბალახი დავრგათო.

ამაზე დედამთილ-მამამთილი გადარეულა. როგორ თუ ბალახი, ბალახის შესაჭმელი შვილი გვყავდაო? სხვებს, მაგაზე უღირსებს, უზარმაზარი მარმარილოები ადგათ და ჩვენს ანგელოზივით ვაჟკაცს მათხოვრის სასაფლაო ჰქონდესო?

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ქალი აიძულეს ორი ოთახი გაეყიდა (სახლი მეზობელთან საზიაროდ ჰქონდათ აშენებული — ორი თვალი ზემო სართულზე, ორი — დაბლა). ჰოდა, ის დაბლა ოთახები გაყიდეს. აღებული ფული მთლიანად საფლავს მოხმარდა. დიდებული რამ კი გამოვიდა — სულ მარმარილოში ელავს, მაგრამ დღეს ამ ოჯახს სარჩენი ფული უჭირს. ქალს სამი ბიჭი გასაზრდელი ჰყავს, არასოდეს უმსახურია, არც უმაღლესი განათლება აქვს. ახლა სამსახურს ეძებს, მაგრამ რას იშოვნის ისეთს, რომ შვილებს გაჭირვება არ აგრძნობინოს?

აბა, რას დაარქმევდით თქვენ ასეთ საქციელს? რა გამართლება აქვს იმ საფლავს, ვისთვის გაკეთდა? მიცვალებულის საპატივცემულოდ?

ახლა საიქიო ცხოვრება ვიღას სწამს, მაგრამ ერთი წუთითაც რომ წარმოიდგინოს ადამიანმა, მიცვალებული რაღაცას გრძნობს იმ ქვეყანაზეო, მე მგონი, ის უბედური მამა, დიდ მარმარილოს ლოდს ამოფარებული, იმისი დარდით იქნება მეორედ მკვდარი, რომ სამი გასაზრდელი შვილი ასე უმწეო მდგომარეობაში დარჩა.

იმ ოთახების ფული კი, ოჯახს კარგა ხანს გაწვდებოდა, თუ ოთახების გაყიდვა იქნებოდა საჭირო. თუ არა და სამი ბიჭის პატრონი საცხოვრებელს შეელევა?

ვფიქრობ, ამ წერილს ბევრი გამოეხმაურება, რადგან ასეთი და ამაზე უარესი ამბები სხვებსაც გაუგონიათ.

**ნინელი ბარათელი**

## მავნე ტრადიციების წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა სიტყვა „სარეველას" განმარტება ჭირდება? და მაინც, დაე, ერთხელ კიდევ შევახსენოთ: მიდიხარ ადამიანი, გზად გულს გიხარებს კაცის ხელით მოწეული, ოფლითა და გარჯით მოხატული პეიზაჟი მშობლიური მთა-ველისა. აქეთ ყანის ოქროსფერი, იქით ზვრების ზურმუხტი, ლალი თუ იაგუნდი ბუნების უხვი კალთით მომადლებული. მაგრამ, აქა-იქ სარეველა გამორეულა მუქ ტბორად; ძირკვავდა დალოცვილი მარჯვენა კაცისა, მაინც... სარეველა თავისას შვრებოდა, აქა-იქ მაინც ფშუტი თავმომწონეობით ყელყელაობდა. ეს სიფშუტე იყო, თუნდაც ერთი ბეწო სიფშუტე — ღვარძლს რომ გაატანდა თონიდან ამოყრილ დოვლათს, მშვენიერი არსობის სალოცავ პურს... არა! მშრომელის გული ამას ვერ მოითმენდა, — ხორბალშივე გაცხრილავდა ხოლმე, მოიშორებდა მავნე ზედმეტობას, ნაირგვარად მიტმასნილ თესლსა თუ ნაცუწს, ერთიანად შეუტევდა, ნაცარსა და ტუტს მიაყრიდა, რათა კვლავ არ შეჰრეოდა თავთუხიან ველებს. თოხნიდა, გამოარჩევდა, გამოაიშვიათებდა. და ესრეთ პირველი, ნამდვილი მშვენიერებით გამობრწყინებდა დოლის პურსა და დიკას, შავფხასა და მახობელას. მადლი, მადლი უნდა შევუთვალოთ იმ დაუღლელ ხელებს, იმ ჩაუმუხლავ გლეხკაცებს. ეს მათ დაუდევს სათავე სიწმინდეს. და დღესაც სწორედ ამ სიწმინდისთვის იბრძვის ჩვენი მშობელი ხალხი, ჩვენი ქვეყანა — მრავალ ჭირგადამხდარი, დღეს სამართლიანად გამობრწყინებული; მაგრამ დამშვიდების უფლება არა გვაქვს — ისევ და ისევ გვჭირდება ერთიანი, ერთსულოვანი შეტევა იმ სარეველა წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ, ერთხანს რომ კარგა მძლავრად მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოფიერებაში; ისე მოიკიდა, რომ აჰა, ზოგჯერ „ტრადიციის" სახელითაც ნათლავს თავისთავს. სასაცილოა, — დამაფიქრებელი რომ არ იყოს: ვინ? ვინ ჩააგონა ქართულ ოჯახს, რომ წელზე ფეხი დაიდგას, ვალი და ვახში აიღოს, დაკლას მარჩენალი პირუტყვი, გაანიავოს მთე-

# სარეველა

ლი წლის მონაგარი სარჩო-საბადებელი, ერთის სიტყვით — „გაიყიდოს“ და ისე გაისტუმროს თანაგრძნობისთვის მისული ნაცნობ-ნათესავი, ჭირის დღეზე მიწვეული ხალხი?

ვინა და წამხედურობამ.

გადამახინჯებულმა, გადასხვაფერებულმა ტრადიციამ.

ტრადიცია კი ასეთ შემთხვევაში ქართველ კაცს ეუბნებოდა: მოსახსენებელია საჭიროო. ვისაც როგორ შეეძლო, ისე შეუთვლიდა სამარადისო მოსახსენებელს.

ერთის წუთით წარმოვიდგინოთ — გაცოცხლდა კაცი, გადახედა ნაღრეობალ სეფას, ამოცლილ მარანს, ცარიელ ბეღელს, — ხომ ამოიკვნესებს:

„ვაი, დაქცეულო ოჯახოო?“ მართალია, ე. წ. შესაწირით შევიდა ფული ოჯახში, შეიძლება უფრო მეტიც, მაგრამ... მაგრამ სწორედ ეგ „შესაწირია“ მძიმე, სამარცხვინო ლაქად რომ ედება ორივე მხარეს...

ახლა ესეც წარმოვიდგინოთ:

ლხინია, ლხინი ქორწილისა, გეპატიჟებიან, მთელის სულითა და გულით გიწვევენ. ნუმც დაგვლევია ლხინი, ძეობანი, ქორწინებანი! მაგრამ ისევ ის სარეველა აგეტუზება თვალწინ — წასასვლელ გზას გადაებარჯღება, გადაეფოფრება, ძალაუნებურად თავპატიჟს გაგადებინებს: წამხედურობისა და ჯიბრის მღვრიე ნაკადულში შერევას მოგთხოვს, ყვავილის კონასა თუ მშვენიერ, სასაჩუქროდ შერჩეულ წიგნს ტუჩს აუბზუებს, ხელს აუკრავს. არა, რომ შეგეძლოს, მზის სხივებითაც ამოჭქარგავდი შენგან მირთმეულ საჩუქარს. რომ შეგეძლოს, — ნატვრის თვალსაც მიართმევდი ბედნიერ, ახალ წყვილს! რომ შეგეძლოს-მეთქი. ახლა?.. ახლა საფიქრალს მისცემიხარ, — რა მიართვა იმისთანა, რომ „ხალხში არ შერცხვე“? კი, მაგრამ, რომელ ხალხში? — ქორწილებიც რომ თავისი შეძლებულობის გამოსაფენად ნებავთ? არა! ქართველი კაცისათვის ასეთი „წესი“ არავის დაუწესებია...

მიდი, მოალხინე მასპინძელი, გაიხარე ახალი ოჯახის დაფუძნებით, სიმღერა უთხარი, ზმა და შაირი შეჰკადრე, დალოცე, დაარიგე. ასეთი, ამდაგვარი იყო ლხინის სუფრა თურმე ჩვენს წინაპრებთან. ამით ამშვენებდა ქორწილის სეფას ბედნიერი მასპინძელი. მაშ ამ ძვირად შეფასებული საჩუქრის სარეველა ვინ მოგვატმასნა, ვინ, რომელმა მტერმა შეარქვა „ტრადიციის“ სახელი? დიახ, მტერმა, გულცარიელმა და ჯიბეამოვსებულმა მტერმა! თანაც მედიდურმა, მედიდურად მზერალმა. მიდი, და შენის კეთილის გულით მირთმეული მცირე რამ გამოაჩინე, ჩუმად, ფრთხილად რომ გინდა ჩამოსდო სადმე მაგიდასა ან როიალის თავზე.

დროა, დროა უკვე, რომ ამ ცრუ „თავმოყვარეობაზე“ უარი ვთქვათ. ჯერ კიდევ არაა გვიან. ავდგეთ, წავიდეთ, ლალისფერი თუ თეთრი მიხაკით დავიმშვენოთ ხელი, ფერადი ქრიზანთემების ბლუჯა გადავიწვინოთ მკლავზე, წიგნი რამ საამურად გამოცემული, საამოდ წასაკითხი წავიმძღვაროთ, და ისე ვეახლოთ საყვარელ მასპინძელს. ამით უფრო გავახარებთ, თუ მართლაც გულით მიგვიპატიჟა. გავახარებთ, რადგან ეს „მცირე-რამ“ მზის სხივით იქნება ამოკემსილი. იმ მზის სხივით, ჩვენი წრფელი გულიდან რომ მომდინარეობს.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეგვიძლია, ბევრი რამის, — რადგან წლების განმავლობაში ყოველ ჩვენგანს გამოგვიცდია, გვინახავს, საკუთარ თავზეც გადაგვიტანია, იმ მავნე სარეველას ღვარძლი. თავი სინანულით გადაგვიქნევია და... ხმა ისე მძლავრად არ აგვიმაღლებია, როგორც ეს საჭირო იყო ჩვენი ერისთვის, ჩვენი კაცობისთვის.

დღეს?

დღეს დროა ხმაც ავიმაღლოთ, და ხელდაკაპიწებულებმაც ვიბრძოლოთ, რათა ეს სარეველა ერთნაირად ამოვძირკოთ ჩვენი სალოცავი მამულის ნიადაგიდან.

**ნ. გიორგაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვაწლ-მოსილი

დილით სამსახურში მიმავალს თავში ათასნაირი გეგმები მიტრიალებდა. ჩვენი სკოლა თავისი არსებობის 50 წლის იუბილის შესახვედრად ემზადებოდა და თითოეულ მასწავლებელსა და მუშაკს თავისი წვლილი სურდა შეეტანა დღესასწაულის ჩატარებაში. რა საქმეც კი გავიფიქრე, ყველაფერი ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკასთან იყო დაკავშირებული. ბიბლიოთეკა კი მთელ კვირას არ გაიღებოდა. ბიბლიოთეკის გამგეს, რომელიც მარტო მუშაობდა, ორი დღის წინ ძმა გარდაეცვალა და რაიონში წაასვენა დასაკრძალავად, გუნებაწამხდარი, სკოლას შეუმჩნევლად მივადექი და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კარებში ძაძებით მოსილი და თვალებდასიებული ბიბლიოთეკის გამგე შემომხვდა.

— ქალბატონო ლუბა! თქვენ დღეს აქ რა გინდათ? — ვეკითხები გაკვირვებული. ლუბა ლაპარაკს ველარ ახერხებს, ტირილისაგან ხმა ჩახლეჩია. მაინც მაგებინებს, რომ ძმის დაკრძალვამდე სამი-ოთხი დღე კიდევ დარჩა და არ შეუძლია ამ დაძაბულ მომენტში ამდენი ხნით უღალატოს საქმეს. ამ დილით დაბრუნდა რაიონიდან, რომ დაგვეხმაროს მასალების შერჩევაში და თანაც ბიბლიოთეკის გასაღები დაუტოვოს ვინმეს.

მის თავდადებაზე და ერთგულებაზე ადრეც ბევრი რამ მქონდა გაგონილი, მაგრამ ამ ამბავმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ლუბა სტეფანეს ასული გახარია 1938 წელს მოვიდა თბილისის მილიციის სპეც. საშუალო სკოლაში. იგი ჯერ ბიბლიოთეკარად მუშაობდა, შემდეგ ბიბლიოთეკის გამგედ დააწინაურეს და აი, უკვე 37 წელია თავდადებით ემსახურება ქართველ ჩეკისტთა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს. დიახ, სწავლააღზრდის საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც პედაგოგია და არც აღმზრდელი, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლის კურსანტთა იდეურ-პოლიტიკური და მორალური წრთობის საქმეში, მითუმეტეს, რომ სკოლაში კურსანტებს ორი წლის მანძილზე აქვე უხდებათ ცხოვრება.

პატივცემულ ლუბას კარგად ესმის ახალგაზრდებისა, იცის როგორ მოაწყოს კურსანტთა თვითმომზადებისა და დასვენების ორგანიზაცია. საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა მარტო ის კი არ იცის კარგად, თუ მრავალათასიან წიგნსაცავში რომელ თაროზე რა წიგნი დევს, არამედ ესმის მათი დანიშნულება და შინაარსიც. რა საკითხზეც უნდა მიმართოთ მას, დაუყოვნებლივ შეგირჩევთ ლიტერატურას, გაგიწევთ კონსულტაციას, თუ ისე მოხდა, რომ საჭირო მასალა ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა, რომ იტყვიან, ქვას გახეთქავს, სხვა რომელიმე ბიბლიოთეკაში მაინც მოძებნის. ამიტომ უყვართ კურსანტებს ბიბლიოთეკა, იქ ისინი სულიერ საზრდოს პოულობენ. უყვართ დედასავით მზრუნველი დეიდა ლუბა, უყვართ იგი სკოლის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელებსაც, რომლებიც ხშირად მიმართავენ მას დახმარებისათვის. პატივცემული ლუბა დაუყოვნებლივ ასრულებს მათ თხოვნას, ურჩევს და უგზავნის საჭირო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა ახალი ლიტერატურის გამოფენა, არის საგნობრივი და თემატური კატალოგი. წარმატებით მუშაობს ბიბლიოთეკის საბჭო და ლიტერატურული წრე. მოამაგე ქალი ადრე დილიდან — გვიან საღამომდე ციბრუტივით ტრიალებს. უცქერით ამ ხანდაზმულ ადამიანს და გიკვირთ, საიდან აქვს ამდენი ენერგია, ინიციატივა, უნარი? ამ ამაგდარი მუშაკის ცხოვრება და ღვაწლი მისაბაძია ყველასათვის. ხომ გმირობაა, ერთ დაწესებულებაში გაატარო სამნახევარ ათეულზე მეტი წელი და არცერთი შენიშვნა არ მიიღო, არ გყავდეს არავინ ნაწყენი და მომდურავი!

ლუბა გახარიას ღვაწლი სათანადოდ შეაფასა პარტიამ და ხელისუფლებამ. იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, რამდენიმე მედლით და მრავალი სიგელით, ფულადი და სხვა ფასიანი საჩუქრებით.

**დ. კაჭუკია,**

აარკ შსს თბილისის მილიციის სპეც. საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ს. სამსახურის თადარიგის მაიორი.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილების შუქზე**

# რომ მომხმარებელი კმაყოფილი იყოს

ეროვნული

„ჩვენს მეფრინველეობაში [illegible] არმაზარი სიმძლავრეები, რომლებიც მათდამი უნარიანი, ყაირათიანი დამოკიდებულების პირობებში საშუალებას მოგვცემენ მომავალი ხუთწლედის დამლევისათვის მთლიანად უზრუნველვყოთ რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებანი საკუთარი წარმოების კვერცხსა და ფრინველის ხორცზე“.

(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მასალებიდან).

ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის მიერ ჩატარებული მთელი რიგი გადამჭრელი ღონისძიებების შედეგად, დღითიდღე იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხი და რაოდენობა. ბარაქა და ხვავი ტრიალებს დედაქალაქის მაღაზიებსა და სავაჭრო ფარდულებში. დახლები სავსეა ხორცისა და რძის პროდუქტებით, ხილით, ციტრუსებითა და ბოსტნეულით. ჩვენს სადღესასწაულო სუფრას წელიწადის ყოველ დროს ამშვენებს კიტრი და პამიდორი. დიასახლისების ტრადიციული სამყარო — ბაზარი თანდათან გვერდზე რჩება.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარეალიზაციოდ გამოტანილი ნაწარმის გარეგნულ მხარეს; პროდუქტების სიუხვით განებივრებულ მომხმარებელს უკვე აღარ მოსწონს ზოგიერთი პროდუქციის იერ-სახე. ამ მხრივ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით მეფრინველეობის ფაბრიკების ნაწარმი სცოდავს.

ნათქვამია, თვალი ჭამს და თვალი სვამსო... მოლურჯო ფერის, დაუმუშავებელ ქათამს მყიდველის თვალში ფასი ეკარგება, თუმცა, შესაძლოა, მას არც ხარისხი აკლდეს და არც გემო.

ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციაში დაგროვდა მკითხველთა წერილები; ჩვენი მუშაკი შეხვდა საქფრინველმრეწვის მმართველს ნოდარ ჯინჭარაძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას. გთავაზობთ ამ საუბრის შინაარსს.

* * *

**— ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ, რატომაა რესპუბლიკის მეფრინველეობის ფაბრიკების მიერ წარმოებული მაღალხარისხოვანი დაკლული ფრინველის გვერდით, დაბალი ხარისხის ქათმები, რომლებიც არავითარ სტანდარტებს არ ექვემდებარება?**

— საქართველოს მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველოს მრავალრიცხოვანი კოლექტივი დიდი მონდომებით იბრძვის საწარმოო გეგმების შესრულებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. მომხმარებელს არ უნდა ჰქონდეს სამდურავი ჩვენი მეფრინველეობის ფაბრიკების — „კოდისა“ და „გამარჯვების“ ქათმების მიმართ. ეს საწარმოები სპეციალიზებული მეხორცული ჯიშის — ბროილერის (ინგლისური სიტყვაა და სახორცე ვარიას ნიშნავს) ფრინველს ზრდის. ეს ჯიში გამოირჩევა ზრდის მაღალი ინტენსივობითა და ხორცის შესანიშნავი თვისებებით (ნაზი, წვნიანი და გემრიელი).

მაგრამ ბროილერის ფრინველთან ერთად სავაჭრო ქსელში დიდი რაოდენობით შემოდის მეკვერცხული ქათმები; მეკვერცხული ქათამი კი შემდეგი თვისებებით ხასიათდება: პირველ 6 თვეს იზრდება, მომდევნო 12 თვის მანძილზე კვერცხს დებს, 17-18 თვის ასაკში უკვე ამთავრებს კვერცხის დებას და ეწყება ბუმბულის ცვლა, ეს პროცესი გრძელდება 3-4 თვეს, შემდეგ ქათამი კვლავ კვერცხმდებელია... განგურის (ბუმბულის ცვლის) პერიოდში ქათმის შენახვა ეკონომიურად გაუმართლებელია, ამიტომ მას კლავენ და ხორცად იყენებენ. ასეთი ფრინველი ნაკლებ — ხორციანია, მცირე რაოდენობით აქვს ცხიმი, დაკრავს მოლურჯო ფერი, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქათამი უხარისხოა, დაავადებული ან საკვებად უვარგისი, მართალია, გემოთი იგი ბროილერის ჯიშს ვერ შეედრება მაგრამ მისი პროდუქტიული თვისებები მაღალია.

**— მომხმარებლის თვალში პროდუქტის გარეგნულ სახეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ჩვენი ქალების უმეტესობა ქათმის ყიდვას ბაზარში ამჯობინებს**

— ფრინველის ხორცის ყველაზე კომპეტენტური შემფასებლები დიასახლისები არიან. რა დასამალია, და ჯერ კიდევ გრძელდება ნაკლებდამუშავებული და შეუფუთავი ქათმების გაყიდვა. დღევანდელი სტანდარ-

ტის მიხედვით ფრინველი უნდა იყოს კარგად გასუფთავებული, დაუზიანებელი კანით, ფეხებზე გაცლილი უნდა ჰქონდეს ყვითელი გარსი, იყოს გაგრილებული და არა გაყინული (ყინავენ მაშინ, როცა დიდხანს უნდა შეინახონ). ჩვენს ფაბრიკებში დაცულია თითქმის ყველა პროცესი, გარდა გაგრილება-გაყინვისა. გაუგრილებელ-გაუყინავი ქათამი კი გარეგნულად მიმზიდველი არაა.

**— როგორც ირკვევა, მეფრინველეობის ფაბრიკებში ქათმების გაგრილება-გაყინვა არ ხდება, ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამაცივრო დანადგარები გამართულად არ მუშაობენ?**

— მთელი რიგი მიზეზების გამო, მეფრინველეობის არც ერთ ფაბრიკაში (რომლებიც ბოლო დროს აშენდა), სამაცივრო მეურნეობა წესრიგში არ არის. ამჟამად ყველა ზომაა მიღებული, რომ 1976 წლის ზაფხულს მომზადებული შევხვდეთ. უკვე დაიწყო სამაცივრო დანადგარების დამონტაჟება გამარჯვების, კოდის, გომის, წყალტუბოს, ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკებში.

**— გაუყინავი, სველი ქათმების გაყიდვას,ცხადია, ეკონომიური ზარალი ახლავს, რადგანაც ზაფხულის თვეებში რეალიზაცია საგრძნობლად მცირდება, ასეთი პროდუქცია კი მიკროტრანსპორტირებასაც ვერ უძლებს და მალე ფუჭდება!**

— დაკლული ქათმები სველდება რეცხვის პერიოდში, მაგრამ მალევე შრება. ამიტომ ამ წუნს ჩვენ ვერ მივიწერთ. დასველება ხდება მაღაზიებში, საჭირო სამაცივრო დანადგარების უქონლობის გამო.

ჩვენი დიდი სურვილია (ვიბრძვით კიდეც ამისთვის), რომ თბილისის ის სამი საფირმო მაღაზია, რომლებიც წინათ ჩვენს სამმართველოს ეკუთვნოდა, კვლავ უკან დავიბრუნოთ, მაშინ ხარისხი დაცული იქნება და მომხმარებელიც ჩვენი პროდუქციით ნამდვილად კმაყოფილი დარჩება.

**— გვაინტერესებს ფრინველის კვების საკითხი. ხალხში გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს კომბინირებული კვება არასრულფასოვანია; საკვებში თევზის დამატება ხომ არ მოქმედებს ხორცის გემოზე?**

— მეფრინველეობის ფაბრიკებში საკვები შედის გამზადებული სტანდარტული რეცეპტების მიხედვით. საკვებს გვაწვდიან დამზადების სამინისტროს წისქვილკომბინატები. მაგრამ, ჯერ კიდევ არსებობენ საბჭოთა მეურნეობების პატარ-პატარა ფერმები, ამ ფერმებში ფრინველს თვითონ კვებავენ. ამიტომ ადვილი მოსალოდნელია, იქ საკვებში თევზს არასწორად იყენებდნენ.

**— რატომაა, რომ ფერმის კვერცხი ხარშვის დროს სკდება, შინაური კი უფრო გამძლეა, რომელია უფრო მარგებელი?**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეკვერცხული ქათამი კვეცხისდებას 6 თვის ასაკში იწყებს და 18 თვემდე აგრძელებს. 6–7 თვისვარია იძლევა დიეტურ კვერცხს და ცხადია, ახალგაზრდა ფრინველის კვერცხის კანი ნაზია და ხარშვის დროს ადვილად სკდება, შინაური კვერცხმდებელი ქათამი კი უმეტესად, ხნიერია და მისი კვერცხის კანიც უფრო გამძლეა. კვერცხის მარგებლობა ერთნაირია.

**— როგორც ჩვენთვის ცნობილია, მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა ხორციელდება სათანადო ტიპიური პროექტების მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი საამქროები: სასაკლაო, გასუფთავების, შეფუთვისა და შენახვის. ადგილი თუ აქვს პროექტიდან რაიმე გადახრას და რა მიზეზით?**

— ამ ბოლო დროს აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ორი დიდი ფაბრიკა (კოდასა და გამარჯვებაში), პროექტით გათვალისწინებული თითქმის ყველა პროცესი დაცულია, გარდა გაგრილება-გაყინვისა.

**— საინტერესოა, არის თუ არა ამ ფაბრიკებში ყველა ის ტექნოლოგიური საამქროები საჭირო დანადგარებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ტიპის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის?**

— მართალია ეს ფაბრიკები ახალია, მაგრამ მათი მშენებლობისას ზოგი რამ გაუთვალისწინებელია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სამაცივრო მეურნეობა, რომელიც ჯერ კიდევ დამონტაჟებული არაა. ამიტომ, ახლო მომავალში ამ მიმართულებით მთელი რიგი ცვლილებებია მოსალოდნელი. კოდაში სასაკლაო ხაზი თითქმის მოძველებული კონსტრუქციისაა და საჭიროა შეიცვალოს თანამედროვე, სპეციალური ბროილერის დამმუშავებელ სასაკლაო ხაზით.

**— ხომ არ არის რაიმე ტექნოლოგიური სიახლე მოსალოდნელი?**

— მსხვილ მეფრინველეობის ფაბრიკებში მალე დაიწყება უახლესი სამაცივრო დანადგარების დამონტაჟება, ფაბრიკების მოძველებული ტექნოლოგიური მოწყობილობები შეიცვლება ახლით. ქათმების შეფუთვა მოხდება პოლიეთილენის პარკებში.

**— როგორი იყო ფრინველის ხორცის წარმოება მეცხრე ხუთწლედში?**

— ხუთწლედის მიხედვით ფრინველის ხორცის წარმოება ასე განაწილდა: 1971 წელს ვაწარმოეთ 3 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, 1972 წელს — 4 ათასი ტონა, 1973 წელს — 5,600 ტონა, 1974 წელს — 7 ათასი ტონა, ხოლო 1975 წელს — 10 ათას ტონაზე მეტი... როგორც ხედავთ, პროგრესი საკმაოდ დიდია.

**— რა პერსპექტივები გაქვთ დასახული ახალ ხუთწლედში?**

— მეათე ხუთწლედში ფრინველის ხორცის წარმოება ორჯერ გაიზრდება.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია აშენდეს მეფრინველეობის რამდენიმე საჯიშე მეურნეობა, ეს საშუალებას მოგვცემს მკვეთრად გავაუმჯობესოთ ფრინველთა ჯიშიანობა, რაც თავისთავად დიდ გავლენას მოახდენს მეფრინველეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე .

მეათე ხუთწლედში დამთავრდება კასპის ბროილერების ფაბრიკის მშენებლობა 8 მილიონი მეხორცული წიწილისათვის („გამარჯვების" ფაბრიკის წარმადობა კი 4 მილიონია). ფრინველის გამოზრდა აქ მოხდება გალიური სისტემით. ვფიქრობთ, თანამედროვე გალია ჯერჯერობით ერთადერთი გზაა მეფრინველეობის ზრდისა და განვითარებისათვის. მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები გალიებში ავტომატურად სრულდება. ასეთ საფრინველეში შედარებით ადვილია ფრინველისათვის საჭირო მიკროკლიმატის (შუქის, ტემპერატურის და ჰაერის ცვლის რეჟიმი) შექმნაც.

ზუგდიდში აშენდება საბროილერო ფაბრიკა 3 მილიონ ფრთა ფრინველზე, — თამარისში — 500 ათას მეკვერცხულ ქათამზე. თამარისის ფაბრიკა წელიწადში დაამზადებს 1000—1500 ტონა ხორცს, რომლის დამუშავება და დაფასოება გათვალისწინებულია თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარების დახმარებით.

გეგმაშია მძლავრი სასაკლაო და სამაცივრო მეურნეობების მშენებლობა.

მნიშვნელოვანი სიახლე იქნება მრავალსართულიანი (დღემდე შეჩვეული ვიყავით ერთსართულიან მეფრინველეობის ფაბრიკებს)) ფაბრიკების მშენებლობა, რაც თავისთავად უზრუნველყოფს შედარებით მცირე ტერიტორიაზე დიდი წარმადობის ფაბრიკების განთავსებას.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მეფრინველეობის განვითარების ახლანდელი დონე არ შეესაბამება თანამედროვე ამოცანებს.**

**დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ, რათა დროულად დავძლიოთ ის ჩამორჩენა, რასაც უახლოეს წარსულში ადგილი ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში. საჭიროა მეცნიერულად მივუდგეთ მეფრინველეობის განვითარების საჭირო საქმეს. ხშირად ასეც ხდება, მეფრინველეობის ფაბრიკების დაპროექტებასა და აშენებაში ისე დიდი დრო მიდის, რომ ამასობაში იცვლება ტექნოლოგია და აშენებული და ექსპლოატაციაში გაშვებული ფაბრიკა უკვე მოძველებულია. დღევანდელი არნახული ტემპები მოითხოვს მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობისა და სრული სიმძლავრით ამოქმედების ვადების მაქსიმალურ შემჭიდროებას. უნდა შეიქმნას უნივერსალურად მოწყობილი ფაბრიკები, საჭიროა ამ მეფრინველეობის ფაბრიკებში და საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმებში გვყავდეს ისეთი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მხარი აუბან დროს და ზოგ შემთხვევაში ადგილზე მოახდინონ საწარმოს ტექნოლოგიური გადაკეთება.**

**არსებული სიმძლავრეების გამოყენება, აი მთავარი მოთხოვნა, რომელიც დააყენა დღეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ...**

**რესპუბლიკის მეფრინველეობაში არსებული საწარმოო სიმძლავრეების მასშტაბური ამოქმედება საშუალებას მოგვცემს, მეათე ხუთწლედი დავიწყოთ ფართოპლანიანი გეგმებით.**

ინტერვიუ აიღო
**ირმა ჩოფიკაშვილმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეპიზოდი პლატონ იოსელიანის მოღვაწეობიდან

ამ რამდენიმე წლის წინათ, მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში მუშაობისას, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა კერძო წერილმა, რომელიც რუსეთის მეფის საიდუმლო პოლიციის საქმეებში ინახება. წერილი გაგზავნილია ქ. ვიატკიდან ვინმე ივანე ფრანცის ძე ბუტაცას სახელზე, თარიღად უზის 1861 წლის 13 იანვარი. წერილის შინაარსი მოწმობს, რომ მისი ავტორი ფრიად განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე ქალია, რომელიც თავის სახელსა და გვარს არ გვამცნობს; წერილის ბოლოს აღნიშნულია მხოლოდ ინიციალები — „ლ. პ.“

წერილში იმდროინდელი რუსეთის ბიუროკრატიული სახელმწიფო წესწყობილების საკმაოდ გაბედული კრიტიკაა მოცემული; მასში ნათქვამია კერძოდ, რომ დადგა დრო, როცა რუსეთში აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის პრინციპების აღიარება, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება და ა. შ. ასეთი აზრების ქადაგება დამახასიათებელია იმდროინდელი რუსეთისათვის, როცა ბატონყმობა ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო და ამის გამო მასებში აშკარად გამოხატული რევოლუციური განწყობილება სუფევდა.

განსაკუთრებით დამაინტერესა წერილის იმ ნაწილმა, რომელშიც ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის პლატონ იოსელიანის ერთი საჯარო გამოსვლის შეფასებაა მოცემული. საქმე ეხება პ. იოსელიანის მიერ თბილისში, იურისტების ერთ-ერთ შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვას, რომელსაც საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია; ამით აიხსნება, რომ მისი შინაარსი საკმაოდ ვრცლად გამოუქვეყნებია როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ პრესას. აი, რას ამბობს ხსენებული „ლ. პ.“ პ. იოსელიანის ამ სიტყვის გამო:

„იოსელიანის სიტყვა, წარმოთქმული სამართლისმცოდნეობის სასწავლებლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ სადილზე, თავისებური ბრანდერია, გამოშვებული ახლა უკვე კავკასიიდან, რუსეთში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ, ეს სიტყვა იუსტიციის შეფისადმი გაწნული მაგარი სილაა. ბევრი ამ წერილს ვერც შეამჩნევს. რადგან გაზეთის უკანა გვერდზეა მოთავსებული და თანაც ძალიან წვრილი შრიფტითაა დაბეჭდილი. — არ გამოგრჩეთ! მე თვითონ კინაღამ გამომეპარა, იმიტომ რომ მიჩვეული ვარ, ამგვარ შემთხვევებში პრესა მარტო ცარიელი ტყუილებით რომ გვიმასპინძლდება ხოლმე. თუ იოსელიანის სიტყვას ჩვენ თვითონ დავუმატებთ იმას, რაც ავტორს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეეძლო ეთქვა, ჩვენი დროის ისტორიის საშინელი ფურცელი გამოვა! მხოლოდ ისტორია გადაწყვეტს, რა უფრო აღმაშფოთებელი იყო თანამედროვეთათვის — ივანე მრისხანეს პირადი სიმკაცრე თუ ჩვენი ახლანდელი უსამართლობა?“

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, ბუნებრივია, სურვილი აღმეძრა ახლოს გავცნობოდი პ. იოსელიანის სიტყვის შინაარსს.

გამოირკვა, რომ თავდაპირველად პ. იოსელიანის სიტყვა დაბეჭდილა გაზეთ „კავკაზში“ (1860 წ., № 101), შემდეგ კი მისი მოკლე შინაარსი გადაუბეჭდავს პეტერბურგის გაზეთს „სევერნაია პჩელას“ 1861 წლის 11 იანვრის ნომერში (სწორედ აქ გასცნობია მას ქ-ნი „ლ. პ.“); გამოირკვა აგრეთვე, რომ შემდეგში თვით პ. იოსელიანს საჭიროდ უცვნია ეს სიტყვა მთლიანად შეეტანა კაპიტალურ ნაშრომში „Описание древностей г. Тифлиса“ (1866 წ.). ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ იმდროინდელ პრესასაც, განათლებულ მკითხველსაც და თვით ავტორსაც ხსენებული სიტყვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუნიჭებიათ, და უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა მართლაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მაინც რა თქვა თავის სიტყვაში პ. იოსელიანმა ისეთი, რამაც პრესისა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა?

გავეცნოთ თარგმანს რამდენიმე ნაწყვეტისას „სევერნაია პჩელაში“ დაბეჭდილი ტექსტიდან:

„... ნება მიბოძეთ, გაბედულად გითხრათ ის, რაზედაც გაუბედავად ყველა ლაპარაკობს: გვეშინია თქვენი სასამართლოს მსჯავრისა... ეშინია (ხალხს) სასამართლოს დაუსრულებელ მოქმედებისა, საქმეებისა და, დავის სამემკვიდროდ არა მარტო შვილზე, არამედ შვილიშვილებსა და ზოგჯერ შვილთა შვილიშვილებზე გადასვლისა. საქართველოს სახით, აზია, რომელიც რუსეთისაგან თავის კანონიერ განახლებას მოელოდა, უფრთხის იმ სასამართლოს, რომელიც გამოუცდელი მოხელეების ხელში უსასრულობად იქცევა“.

„ხალხი, რომელსაც თქვენ მართავთ და ასამართლებთ, კანკალებს სასამართლოს სარჩელის ანუ დავის გადაწყვეტის წესრიგის წინაშე, სასამართლოს ფორმის წინაშე. მის შეშინებულ გულს ეს სასამართლო წარმოდგენილი აქვს ოკეანედ; მას უთითებენ გადასცუროს ეს ოკეანე, — გასცუროს მის უსაზღვრო ნაპირამდე, რომელსაც ის ვერ ხედავს“.

„ხალხს სურს, ხალხი გეაჯებათ, მოითხოვს საქმის გამარტივებას, მისი თავისა და ბოლოს გაადვილებას; ხალხი ეძებს ისეთ სიმოკლეს, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შეეფერება... ხალხის გაგებით, ის, ვინც მას სასამართლოზე მიუთითებს, მტერია საქმისა, მტერია ოჯახისა, მტერია პირადი და საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა, — ზნეობრივად და ფიზიკურად მკვლელია კაცისა“.

ამ სიტყვებს, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა იმდროინდელ მკითხველებზე, მაგრამ პ. იოსელიანის სიტყვის შინაარსი მოტანილი ნაწყვეტებით როდი ამოიწურება; მთლიანი სახით (როგორადაც იგი ავტორის ზემოთდასახელებულ ნაშრომშია შეტანილი) ეს სიტყვა მკითხველზე კიდევ უფრო ღრმა და სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. საკმარისია ითქვას, რომ სიტყვის შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ და საინტერესოდ გადმოგვცემს ხალხის შემაწუხებელი კანონების, აგრეთვე მათ წინააღმდეგ მოწინავე ადამიანების ბრძოლის მოკლე ისტორიას, ეხება სოკრატესა და პლატონის როლს, ხოლო შემდეგ გადადის ქართული სამართლის ისტორიაზე, დადებით შეფასებას აძლევს გიორგი ბრწყინვალის, აღბუღას, ვახტანგ VI სამართლებრივ მოღვაწეობას და ა. შ.

უნდა აღინიშნოს ის საყურადღებო ფაქტიც, რომ პ. იოსელიანი თავის სიტყვაში არა თუ არ აიდიალებს ძველი სახელმწიფოების მიერ შექმნილ კანონებს, არამედ საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს მათ. მისი სიტყვით, ძველ ქვეყნებში კანონებს ძალით ახვევდნენ ხალხს თავზე; ეს კანონები წარმოადგენდნენ ბორკილებს, რომლებიც „ხუთავდნენ ხალხის სულსა და სხეულს“; ამიტომ მათი სიმძიმის ქვეშ „ხალხები ტიროდნენ და ჰკვნესოდნენ“.

ასეთია ამ საინტერესო სიტყვის მოკლე შინაარსი.

ვფიქრობთ, ეს სიტყვა ახალ ფურცელს შლის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში; იგი გარკვევით გვიჩვენებს აგრეთვე ბატონყმობის გაუქმების წინ ქართველ ინტელიგენციაში გამეფებულ სულისკვეთებას; თუკი თავადაზნაურთა ლიბერალური ფრთის ტიპიური წარმომადგენელიც კი ასე გაბედულად ილაშქრებდა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, ძნელი მისახვედრი არაა, როგორი განწყობილება იქნებოდა „კაკო ყაჩაღისა“ და „მგზავრის წერილების“ იდეებით გატაცებულ ქართველ ახალგაზრდობაში.

პ. რატიანი

# ჩვენი საოჯახო ქალები

## ოჯახური ურთიერთობების „ანი“ და „ბანი“

სამსჯავროზე გამოგვაქვს ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახური უსიამოვნება.

,,ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო“, მაგრამ როცა ეს უსიამოვნება ოთხ კედელს ცილდება და ოჯახი დანგრევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება ხოლმე, მაშინ იგი საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენს და განმსჯელთაგან ზოგი თუ ცდება, ზოგს სწორი დასკვნა გამოაქვს და სხვისი ჭირი მაგალითის ძალას იძენს.

იმ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის განსჯა უკვე მოხდა — ერთხელ საკმაოდ ცნობილ და კულტურულ ოჯახში.

— არ მეგონა, თუ ვახტანგი ქალის გულისკენ მიმავალ გზაზე წინა პლანზე ჭამასმას დააყენებდა, — თქვა თამარმა და ზეინაბს გადახედა, — შენც ამყევიო. ზეინაბმაც მუხლებზე დადებული პატარა ბალიში გვერდზე გადადო და, საკმაოდ ხმამაღლა გაავრცო თამარის ნათქვამი.

— გამოდის, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში სამზარეულოს, კულინარიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია და, ეგ არის, საწყალი ნათელა, თავიდანვე კი ვფიქრობდი, როგორ გაყვა მეთქი მაგ წვრილმანი ბუნების კაცს.

— ვახტანგი ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი გახლავთ, — ზევით არ აუხედია, — მშვიდად თქვა თამარმა, პაიკი ხელში აიღო და მოფიქრებულ ადგილზე დადო.

— ჭამის კულტი, მარტო ჭამა-სმაზე ზრუნვა ცხოველების საქმეა, ადამიანს სულიერი საზრდოც სჭირდება, — არ ცხრებოდა ზეინაბი.

— ჩემო კარგებო, გავიწყდებათ, რომ ქალი-ქალია. არ არსებობენ ცუდი მამაკაცები, არსებობენ მხოლოდ უჭკუო ცოლებიო— ამბობს ფრანგული ,,.არა, არა, მაპატიეთ, მგონი, ინგლისური ანდაზა, —ნოდარს ეგონა ანდაზის მოშველიება უშველიდა საქმეს და გამარჯვებულის იერით გაიარა და გამოიარა ოთახში.

— მაშ რაღას ნიშნავს ემანსიპაცია, თანასწორობა. იქნებ მხოლოდ ქაღალდზეა საჭირო მისი დაწერა — ახლა ოინა მიეშველა ქალებს.

თენგიზმა სულხან-საბა ორბელიანის და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები გადმოიღო და მოკამათეებს მიუახლოვდა:

— აი, ხომ წერია შავით თეთრზე ,,ოჯახი — კერა, სახლი, სახლეული“ ახლა სულხან-საბას მოუსმინეთ: კერა — მუგუზლის თავის სადები. ე. ი. კერა, რის კერაა, თუ მუგუზალი ჩაქრა, ჩაინავლა. კერას ქალი უნდა პატრონობდეს, რომ მუგუზალი არ ჩაქრეს, საჭმელი მზადდებოდეს და სითბო არ მოაკლდეს ოჯახს. გაიგეთ, ქალი კერაა, კერა!

— ვის უნდა ახლა ეს შენი მაღალფარდოვანება, — შეუბღვირა ცოლმა თენგიზს.

ნათელამ სიგარეტი საფერფლეზე დადო, წამოდგა, კეკლუცად შეარხია ტანი და თენგიზის ცოლს მიუახლოვდა: — ციცინო, გენაცვალე, ნუ გეწყინება — შენს ქმარს არქაიზმი და მეშჩანობა შეპარვია.

— სახლში კერა ჩამქრალი უნდა იყოს, პაპიროსი კი გაჩაღებული. რად გვინდა ასეთი მოდა თუ რაღაც ჯანდაბა, გაუმარჯოს არქაიზმს!

— გაუმარჯოს არქაიზმს! — ერთხმად შესძახეს თენგიზს მამაკაცებმა.

— ბიჭო, არ ამომივიდა ყელში ეს ერბოკვერცხი! ჩემი ოჯახი, ოჯახი კი არა, გასტრონომია: შედედებული რძე, კონსერვები, ძეხვი...

ლიამ სათქმელი აღარ დაამთავრებინა გურამს და მიახალა: — აბა, რისთვისაა მაღაზიაში, თუ არ ვიყიდით.

— წარმოება, მოხმარება, კვლავ წარმოება, — გამომწვევად წაუმღერა ნუციკომ.

— მოეშვი ახლა, შენი ცოდნის გამომზეურებას, ვის ჭირდება სოფიზმი და სიტყვების კორიანტელი, — ხმამაღლა უთხრა ქმარმა ნუციკოს და კარისკენ წავიდა. სერვანტთან გაჩერდა, თითქოს დათვალიერება დაუწყო და უცებ ნერვიულად წამოიძახა: — მოგვბეზრდა სულიერი საკვები. რამდენს მიჩიჩინებდი თამრიკო და რეზო მეორეჯერ წავიდნენ კინოში, ,,რომანსი შეყვარებულებზე“ რომ იყო, ჩვენც წავიდეთო. შეყვარებულებზე რომანებს ვკითხულობთ, ფილმებს ვუყურებთ, ხშირად, იმ დროის ხარჯზე, კერა რომ უნდა ენთოს და საჭმელი მზადდებოდეს, იმას კი ვერა ვგრძნობთ, როგორ მზადდება საკუთარ ოჯახში ტრაგედია, როგორ ჩნდება კუჭზე წყლული.

დიასახლისმა უხერხულობა იგრძნო და ყველა ვახშამზე მიიპატიჟა. შემდეგ თავის ვაჟიშვილს სთხოვა, მაგნიტოფონი ჩაერთო. ოთახი მხიარული ხმებით გაივსო.

მე იმ კამათში არ ჩავრეულვარ. იქ როგორ ვიტყოდი ჩემს სათქმელს — ამან ხომ ქალები აშკარა ღალატად ჩამითვლიდნენ. არადა, მამაკაცები მართალნი იყვნენ, ამ სიმართლემ არ მომასვენა და ეს წერილი დამაწერინა. ისინი ჩემი ქმრის გვარით მიცნობენ, ამიტომ წერილს ჩემი გვარით ვწერ. კი არ მეშინია, იმ ზოგიერთთან, პაპიროსის მოწევა უკანასკნელ მოდად რომ მიაჩნიათ, პირისპირ შეხვედრას ვერიდები მხოლოდ. მოდით აქ ვიდაოთ, აქ ვიკამათოთ. კამათი ვნებათა ღელვას, სიფიცხეს მოითხოვს. ჭეშმარიტების მარცვლებიც ასე გამოჩნდება ხოლმე.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველყოფილმა ადამიანმა ცეცხლი იპოვნა. კიდევ რამდენი, რომ მისი გამოყენება ესწავლა. პირველი, რაც ადამიანმა ცეცხლის სარგებლობით მიიღო, იყო გემრიელი საჭმელი. ცეცხლის პირველ კერაზე მოდრიკა რკინა ადამიანმა, გამოწვა თიხა, გამოადნო სპილენძი.

ადამიანი ასეა მოწყობილი — მას, როგორც ბიოლოგიურ არსებას გააჩნია სასიცოცხლო ანუ ვიტალური მოთხოვნილებანი. იგი შიმშილსა და წყურვილს უსიამოვნო გრძნობად განიცდის. შიმშილისა და წყურვილის, სიცხისა და სიცივის უსიამოვნო განცდა რომ არა, ადამიანი დაიღუპებოდა.

ამიტომ შეიქმნა ოდითგან ლეგენდები და მითები. იმიტომ მოსტაცა პრომეთემ ზევსს ცეცხლი, რომ უბრალო ადამიანებს ამ ცეცხლზე საჭმელი მოემზადებინათ. საჭმელი, რომელიც ღვთიურ საკვებზე უფრო საჭირო და კარგი იყო.

ასეთმა მატერიალიზმმა როდი უნდა შეგვაშინოს. ადამიანების მთელი საიდუმლო სწორედ იმაშია, რომ მას ვიტალურ მოთხოვნილებებთან ერთად გააჩნია უფრო მაღალი სულიერი მოთხოვნილებანი. მოთხოვნილება სიკეთისა, მშვენიერებისა, ჭეშმარიტების ძიებისა.

ლხინისა და ზეიმების, სტუმართმოყვარეობის ტრადიციები იმიტომ კი არ დაამკვიდრა ზოგადსაკაცობრიო კულტურამ, რომ ადამიანებს ერთად ჭამა-სმა უნდოდათ მხოლოდ; წლიდან წლამდე ეს ზეიმები იღებდნენ ადამიანთა შორის ურთიერთობის თავისებურ ფორმას. ეს იყო გამომზეურება ურთიერთყურადღებისა თუ ზრუნვისა, ურთიერთპატივისცემისა თუ სიყვარულისა. აქ წყდებოდა სახელმწიფოებრივი საკითხები, აქ დაობდნენ, კამათობდნენ, აქ კითხულობდნენ დიდი პოეტები თავიანთ ლექსებს, აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მახვილსიტყვაობაში, ტკბილ სიმღერასა და მომხიბლავ ცეკვაში.

ოჯახშიც საუზმე, სადილი და ვახშამი ოჯახის წევრთა ურთიერთობის, კომუნიკაციის თავისებური ფორმაა. იგი მიგვანიშნებს ოჯახის წევრთა შორის თანხმობასა და სოლიდარობაზე, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ატმოსფეროსთვის.

ამდენად, საუზმე, სადილი და ვახშამი ოჯახის ცხოვრებაში ზნეობრივი სტიმულატორის როლს ასრულებენ და ქალის ემანსიპაციის გზაზე დაბრკოლებას როდი ქმნიან, პირიქით, ქალს ზნეობის ცენტრად, მის გულად და სულად აქცევენ. შესაძლებელია იყო მასწავლებელი, ექიმი, წარმოების მოწინავე, მეცნიერი, ფეხდაფეხ მიყვებოდე მოდას, მაგრამ ამავე დროს იყო საუკეთესო დიასახლისი შენი ოჯახისა. ასეთი მაგალითები ხომ მრავალია ჩვენი ცხოვრებიდან.

გეთანხმებით, ძნელია, ძალიან ძნელია.

ჟ. ი. ლენინს ქალის ჩაბმა საზოგადოებრივ ნაყოფიერ შრომაში, მისი განთავისუფლება „საოჯახო მონობისა“ და დამაჩლუნგებელი და დამამცირებელი სამზარეულოსაგან ხანგრძლივ ბრძოლად მიაჩნდა. ეს ბრძოლა უკავშირდებოდა საზოგადოებრივი ტექნიკისა და ზნე-ჩვეულებების ძირფესვიან შეცვლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ამ ბრძოლის გადაჭრისათვის ითვალისწინებს ყველა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ამ ბრძოლის გზაზე ქალებს ჩვენი უნდა გვეთქმოდეს. წუწუნი, რომ საოჯახო საქმე მეტად ძნელია, ვერას გვიშველის, პირიქით საქმეს გაგვიფუჭებს.

თუ ჩვენ მოვიხმართ ყველაზე მოქმედ და ყველაზე ბასრ იარაღს — ქალურ სინაზეს, სიბრძნესა და საზრიანობას, მის წინაშე მოწიწებით თავს დახრიან ჩვენი ქმრები და შვილები. მაშინ გახდება სადილისა და ვახშმის მომზადება ყველას საზრუნავი, მაშინ წავა ქმარი უფროს შვილთან ერთად ბაზარში, მაშინ დაატრიალებს 10 წლის ბიჭუნა ხორცის საკეპ მანქანას, მაშინ იქცევა იატაკის მოწმენდა-გაპრიალება ფიზიკურ ვარჯიშად, მაშინ დაგვრჩება მეტი თავისუფალი დრო, მაშინ მოიქსოვება ჩვენი ოჯახი მტკიცე ძაფებით. სწორედ ამ დროს გამოიჭედება ოჯახის წევრთა შორის მეგობრობა და სიყვარული, პატივისცემა სხვისი შრომისა, ურთიერთგამტანობა და ამტანობა. მაშინ კი, როცა ჩვენი შვილები ცხოვრების გზას დაადგებიან, იტყვიან, კარგი ოჯახის შექმნაზე მხოლოდ კი არ გვიფიქრია, და გვიოცნებია, შეგვიქმნია კიდეც და მრავალ დაბრკოლებებთან ერთად სიტკბოც გვიგემნიაო.

სამადლობელს კი მუდამ შენ გეტყვიან დედა!

როზა ირემაშვილი

## მსოფლიოს სამზარეულოში

# ესპანური კერძები

### ქათამი მადრიდულად

1 ქათამი, 150-200 გრ ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 3-4 სუფრის კოვზი კარაქი ან მარგარინი, 3 ცალი კარტოფილი. 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 1/2 ჩაის ჭიქა თეთრი ღვინო, მარილი, წიწაკა (გემოვნებით).

ქათამი გამოვშიგნოთ, გავასუფთაოთ, წავუსვათ წიწაკა და მარილი, ცხიმის ერთი ნახევარი დავადნოთ ტაფაზე. მოვშუშოთ შიგ წვრილად დაკეპილი ხახვი, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ქამა სოკო და ცოტაოდენი წყალი. ვშუშოთ ნახევრად მომზადებამდე, შემდეგ ამ მასით ამოვავსოთ ქათმის მუცელი და ამოვკეროთ. ქათამი ყოველი მხრიდან კარგად უნდა შევწვათ მორჩენილ ცხიმში. წვის პროცესში, 15 წუთის შემდეგ, ქათამს დავუმატოთ უმი კარტოფილი, მრგვლად დაჭრილი წიწაკა, ვუყოთ ღვინო (თუ სითხე არასაკმარისია შეგიძლიათ ცოტაოდენი წყალიც დაუმატოთ) და ვშუშოთ მომზადებამდე. წვნიანი შევაზავოთ მარილითა და წიწაკით და სუფრაზე მიტანის წინ მოვასხათ ქათამს.

### ბოსტნეულის წვნიანი ესპანურად

150 გრ შებოლილი ბარკლის ხორცი, 2 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 500 გრ ყვავილოვანი კომბოსტო, ან სხვა რომელიმე ბოსტნეული (ისპანახი, მწვანე ბარდა, და ა. შ.), 200 გრ პამიდორი, მარილი, წიწაკა, გამხმარი შავი პურის 4 თხელი ნაჭერი, 2 სუფრის კოვზი მარგარინი ან ზეთი.

ხახვი და ნიორი წვრილად დავჭრათ, შევწვათ ზეთში, დავუმატოთ პამიდორი და ოდნავ ჩავშუშოთ. დავუმატოთ წვრილად დაჭრილი კომბოსტო და ცოტა წყალი, ვუყოთ მარილი და წიწაკა, ვხარშოთ. ხორცი დავჭრათ ოთხკუთხ ნაჭრებად, ოდნავ შევწვათ და დავუმატოთ ბოსტნეულს.

პურის ნაჭრები ოდნავ შევაწითლოთ და ზედ მოვასხათ უკვე მომზადებული წვნიანი.

გათვალისწინებულია 2 ულუფაზე.

### თევზის პუდინგი მადრიდულად

750 გრ მოშუშული თევზი, 2 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, 400 გრ პამიდორი, 3 კვერცხი, მარილი, წიწაკა, ორცხობილას ფხვნილი, 1-2 სუფრის კოვზი კარაქი ან მარგარინი, 1 ჩაის ჭიქა მაიონეზი.

თევზი ოდნავ მოვშუშოთ, დავჭრათ ნაჭრებად, შეძლებისდაგვარად გამოვაცალოთ ძვალი. პამიდორს დავასხათ მდუღარე წყალი, გავფცქვნათ და ვშუშოთ ცხიმში, მანამ, სანამ კარგად არ ჩაიხარშება. შემდეგ ეს მასა ავურიოთ თევზში, დავუმატოთ ათქვეფილი კვერცხი, მარილი და წიწაკა. პუდინგის ყალიბს მოვუსვათ ცხიმი, მოვაყაროთ ორცხობილას ფხვნილი და მოვათავსოთ შიგ მიღებული მასა. დაბალ ცეცხლზე იშუშოს ერთი საათი. სუფრაზე მიტანის წინ პუდინგს მოვასხათ გამდნარი კარაქი და მაიონეზი.

ამ კერძს უხდება მოხარშული კარტოფილიც.

ნომერი ეძღვნება სკკპ XXV ყრილობას. გარეკანის მეოთხე გვერდზე — სკკპ XXV ყრილობის დელეგატები: მ. მდივანი (ფოტო დ. მძინარიშვილისა), ქ. გოგიტიძე და ვ. პისარევა (ფოტო დ. იაკობაშვილისა).

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. ზალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 29/XII-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/II-76 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 121 550 შეკვ. 4728 უე 00649 ფასი 30 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ფერმწერი. საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ელენე ახვლედიანი.

ფერთა უხვი პალიტრა, განუმეორებელი ხელწერა, თემათა მრავალფეროვნება, გონებამახვილური მიგნებები მხატვრის ტილოები ჩვენი დღეების მხატვრული მატიანეა. მისი ნიჭის ამობრწყინებაა — პეიზაჟი, პორტრეტი, ილუსტრაციები ფართო და უაღრესად მრავალფეროვანი. მრავალმხრივი იყო ელენე ახვლედიანის მისწრაფებათა, შემოქმედებითი ინტერესთა სფერო, მხატვრული სამყარო. გაცისკროვნებული, ჭკვიანი, დაკვირვებული ადამიანის მზერით იგი მაღალი შემოქმედებით სუნთქავდა და სულდგმულობდა.

ელენე ახვლედიანმა განსაკუთრებული ღვაწლი და ამაგი დასდო თბილისს. ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება მხატვარი, რომელსაც ასე ფართოდ და მრავლის მომცველად უკვდავეყოს ტილოებზე ჩვენი დედაქალაქი. მისი ძველი და ახალი უბნები განუმეორებელი პეიზაჟი, ქუჩები, მოედნები, არქიტექტურული ძეგლები, ადამიანები.. დიდი იყო მხატვრის მოღვაწეობის მასშტაბები სიახლისკენ სწრაფვა. იგი ბევრი შესანიშნავი კულტურული საქმის წამომწყები, მოთავე და ორგანიზატორი იყო.

ვის არ მოხიბლავს მისი „თელავი", „კახეთი", „ალაზნის ველი", „მაიდანი", „ქეიფი", „ღვინის აღმართი თბილისში", „ცივი დღე", „ძველი თბილისის კუთხე", „ნარიყალა", „მარანი", „ძველი თბილისი", „ზამთარი", „ზამთარი თბილისში", „ფასანაური", „იმერეთი", „ქექა-ქუხილის წინ"... ეს ტილოები ჩვენი ქვეყნის მრავალ მუზეუმში, კერძო კოლექციებსა და კულტურის კერებშია გაფანტული.

ელენე ახვლედიანის შემოქმედება მარად დარჩება ეროვნული კულტურის სიამაყედ.



ფოტო დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

068/37

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178




# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატები



ნორიოს
მეფრინველეობის
ფაბრიკის
დირექტორი
მ ე რ ი
მ დ ი ვ ა ნ ი



თბილისის
ორჯონიკიძის
სახელობის
№ 1 სამკერვალო
ფაბრიკის
მუშა
ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ ა
პ ი ს ა რ ე ვ ა



ქობულეთის
რაიონის
სოფელ
გობოყვათის
კოლმეურნეობის
მეჩაიე
ქ ე თ ე ვ ა ნ
გ ო გ ი ტ ი ძ ე



